

შპს „აიპლიუსი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

2025 წელი
თბილისი

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა	
კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	6
კონსოლიდირებული მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	7
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	8
ფულადი სახსრების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	9
მმართველობითი ანგარიშგება	32

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა**შპს „აიპლიუსი“-ს ხელმძღვანელობას****პირობითი მოსაზრება**

ჩვენ ჩავატარეთ შპს „აიპლიუსი“-ს (შემდგომში „ჯგუფი“) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალურ ანგარიშგებებს 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული კონსოლიდირებული მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ინდივიდუალურ ანგარიშგებას, საკუთარი კაპიტალის ცვლილებებისა და ფულადი ნაკადების კონსოლიდირებულ ანგარიშგებას და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნებს, მათ შორის სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვას.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, გარდა პირობითი მოსაზრების საფუძვლის აბზაცში მოყვანილი გარემოების სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას 2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მცირე და საშუალო საწარმოებისათვის (მსს ფასს) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

გამომდინარე იქიდან რომ, ჩვენ დავინიშნეთ შპს „აიპლიუსი“-ს აუდიტორებად 2025 წლის 3 ივნისს. ამის გამო ვერ შევძელით დავკვირვებოდით წლის დასაწყისში და წლის ბოლოს ჩატარებულ მარაგების ინვენტარიზაციას. ჩვენ ალტერნატიული პროცედურებითაც ვერ დავრწმუნდით 2024 წლის 31 დეკემბრისათვის არსებული მარაგის რაოდენობის სისწორეში, შესაბამისად ყოველივე ზემოაღნიშნულის გამო ვერ განვსაზღვრეთ აუცილებელი იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა აღრიცხულ ანდა აღურიცხავ მარაგებთან დაკავშირებით, აგრეთვე მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგების ელემენტებში. აღნიშნული ფაქტის არსებითი ეფექტის გამო, ჩვენი მოსაზრება მარაგებზე 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებულ ნაშთზე მოდიფიცირებულია.

ჩვენ აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. ჩვენი პასუხისმგებლობა ხსენებული სტანდარტების საფუძველზე აღწერილია დასკვნის ნაწილში „აუდიტორთა პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ დამოუკიდებლობა ვართ კომპანიისგან, როგორც ამას მოითხოვს „პროფესიონალ ბუღალტერთა საერთაშორისო ეთიკის სტანდარტების საბჭოს მიერ („IESBA“) შემუშავებული ეთიკის კოდექსი, ჩვენი დამოუკიდებლობა ასევე შესაბამისობაშია საქართველოში არსებულ მოთხოვნებთან და ჩვენ სრულად ვასრულებთ სხვა მოთხოვნებს, რომელიც განსაზღვრულია ეთიკის ნორმებით. დარწმუნებული ვართ, რომ აუდიტის პროცესში მოპოვებული მტკიცებულებები საკმარის და მართებულ საფუძველს გვაძლევს აუდიტორული დასკვნისათვის.

სხვა ინფორმაცია ასახულია ჯგუფის 2024 წლის მმართველობით ანგარიშგებაში

სხვა ინფორმაცია მოიცავს ჯგუფის 2024 წლის მმართველობით ანგარიშგებას, გარდა ფინანსური ანგარიშგებისა და მასზე გაცემული აუდიტორის დასკვნისა. სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა.

ფინანსურ ანგარიშგებაზე გამოხატული ჩვენი მოსაზრება არ ეხება ხელმძღვანელობის ანგარიშს და ამიტომ მასთან დაკავშირებით არ გამოვთქვამთ რაიმე ფორმით რწმუნებას ფინანსური ანგარიშგების აუდიტის დასკვნაში.

ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობაა წავიკითხოთ სხვა ინფორმაცია და განვიხილოთ, არის თუ არა სხვა ინფორმაცია არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის განმავლობაში ჩვენ მიერ მიღებული ცოდნასთან, ან თუ შეიცავს სხვა არსებით უზუსტობას. თუ ჩვენ მიერ ჩატარებული სამუშაოს საფუძველზე დავასკვნით, რომ სხვა ინფორმაცია არსებით უზუსტობას შეიცავს, ჩვენ ვალდებულნი ვართ, განვაცხადოთ ეს ფაქტი. აღნიშნულთან დაკავშირებით გასაცხადებელი არაფერი გვაქვს.

მას შემდეგ, რაც ჩვენ გავეცნობით მმართველობით ანგარიშს, ჩვენ სხვა ინფორმაციასთან დაკავშირებით ვასკვნით:

- შეესაბამება თუ არა ფინანსურ ანგარიშგებას და მოიცავს თუ არა ის არსებით უზუსტობას;
- მოიცავს თუ არა ყველა ინფორმაციას, რომელსაც მოითხოვს და რომელიც შეესაბამება „საქართველოს კანონის ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“.

ხელმძღვანელობასა და მმართველობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიანად წარდგენაზე, მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლის ისეთი მექანიზმების შემუშავებაზე, რომელსაც ხელმძღვანელობა საჭიროდ მიჩნევს თაღლითობის ან შეცდომის შედეგად დაშვებული არსებითი უზუსტობებისგან თავისუფალი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობაა შეაფასოს შესწევს თუ არა კომპანიას უნარი განაგრძოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, კონკრეტული შემთხვევებიდან გამომდინარე, განაცხადოს ფუნქციონირებად საწარმოსთან დაკავშირებული საკითხები და აღრიცხვისას გამოიყენოს ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება, იმ შემთხვევების გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ მას არ აქვს რეალური არჩევანი ასე რომ არ მოიქცეს.

მმართველობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხს აგებენ კომპანიის ფინანსური ანგარიშგების პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორთა პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენს მიზანს წარმოადგენს, გონივრული რწმუნების მიღება იმის თაობაზე არის თუ არა ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თავისუფალი თაღლითობის ან შეცდომის შედეგად დაშვებული არსებითი უზუსტობებისგან და აუდიტორთა დასკვნის გაცემა, რომელიც მოიცავს ჩვენს აზრს. გონივრული რწმუნება არის რწმუნებულების მაღალი დონე, მაგრამ ის არ წარმოადგენს გარანტიას იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე ჩატარებული აუდიტი ყოველთვის შესძლებს არსებული არსებითი უზუსტობების გამოვლენას. უზუსტობები შესაძლოა წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის შედეგად და მიიჩნევა არსებითად, თუ მათ შეუძლიათ, ცალკე ან ერთობლივად, გავლენა მოახდინონ მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მიიღება ამ ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე.

ასს-ს შესაბამისად, აუდიტის მსვლელობისას, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ასევე, ჩვენ:

- ვახდენთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკების იდენტიფიცირებას და მათ შეფასებას, ამ რისკების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დაგეგმვას და განხორციელებას და ისეთი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვებას, რომლებიც საკმარისი და შესაბამისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმის უზრუნველსაყოფად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობების არ გამოვლენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს უკანონო ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, განზრახ უმოქმედობას, ფაქტების დამახინჯებას ან შიდა კონტროლის მექანიზმების უგულვებელყოფას;
- ვახდენთ აუდიტის შესაბამისი შიდა კონტროლის მექანიზმების გააზრებას ვითარების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დასაგეგმად და არა კომპანიის შიდა კონტროლის მექანიზმების ეფექტურობის შესახებ აზრის გამოსახატავად;
- ვაფასებთ გამოყენებული საბუღალტრო პოლიტიკების შესაბამისობას, ასევე ხელმძღვანელობის მხრიდან წარმოდგენილი სააღრიცხვო შეფასებებისა და განმარტებითი შენიშვნების მიზანშეწონილობა;
- გამოგვაქვს დასკვნა ხელმძღვანელობის მიერ მოქმედი საწარმოს საბუღალტრო საფუძვლების გამოყენების მიზანშეწონილობის შესახებ, ასევე მიღებული აუდიტორული მტკიცებულებების

საფუძველზე ვასკვნით, აქვს თუ არა ადგილი არსებით გაურკვევლობებს ისეთ მოვლენებსა და ვითარებებთან მიმართებაში, რომლებმაც შესაძლოა ეჭვის ქვეშ დააყენოს კომპანიის უნარი განაგრძოს ფუნქციონირება როგორც მოქმედმა საწარმომ. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ ადგილი აქვს არსებით გაურკვევლობას, ჩვენს აუდიტორთა დასკვნაში ყურადღება უნდა გავამახვილოთ ფინანსურ ანგარიშგებაში შესაბამის ინფორმაციაზე, ან თუ ამგვარი ინფორმაცია არაადეკვატური იქნება, ჩვენი მოსაზრებაც მოდიფიცირებული იქნება. ჩვენი მსჯელობები ეფუძნება ჩვენი აუდიტორთა დასკვნის შედგენის თარიღამდე მიღებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. ამასთან, მომავალში წარმოშობილმა მოვლენებმა და შექმნილმა ვითარებებმა შესაძლოა აიძულოს კომპანია შეწყვიტოს ფუნქციონირება, როგორც მოქმედმა საწარმომ;

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების მთლიან წარმოდგენას, მის სტრუქტურას და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და იმას, წარმოაჩენს თუ არა ფინანსური ანგარიშგება ძირითად გარიგებებსა და მოვლენებს ისეთი ფორმით, რომ უზრუნველყოფილ იქნას სამართლიანად წარდგენა;

სხვა მრავალ საკითხთან ერთად, მმართველობაზე პასუხისმგებელ პირებს ვუზიარებთ ინფორმაციას აუდიტის მასშტაბისა და ვადების, ასევე მნიშვნელოვანი აუდიტორული მსჯელობების შესახებ, მათ შორის ჩვენს მიერ აუდიტის პროცესში აღმოჩენილი შიდა კონტროლის მექანიზმებთან დაკავშირებული ნებისმიერი მნიშვნელოვანი ხარვეზის შესახებ.

მოსაზრება მმართველობით ანგარიშგებაზე

ჩვენი აზრით, თანდართული მმართველობის ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, მოქმედი მარეგულირებელი ნორმატიული აქტების შესაბამისია და თანხვედრილია კომპანიის 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებასთან. ანგარიშგება სათანადოდ წარმოადგენს კომპანიის საქმიანობის, მდგომარეობისა და მომავალი განვითარების შესაძლებლობებისა და რისკების შესახებ ინფორმაციას.

მოსაზრების საფუძველი მმართველობით ანგარიშგებაზე

მმართველობის ანგარიშგების შემოწმება განხორციელდა ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ კანონისა და კანონქვემდებარე აქტების, სახელმძღვანელოებისა და რეკომენდაციების მოთხოვნების შესაბამისად. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისაგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული „პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის“ შესაბამისად. ჩვენ შევასრულეთ აღნიშნული კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. ჩვენ მივიჩნევთ, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული მარწმუნებელი მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

პარტნიორი აუდიტისა, რომლის შედეგადაც მოცემული დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა გაიცა, არის:

თამარ კაპანაძე

შპს აუდიტ-თა

თბილისი, საქართველო

2025 წლის 26 სექტემბერი

საფუძველზე ვასკვნით, აქვს თუ არა ადგილი არსებით გაურკვევლობებს ისეთ მოვლენებსა და ვითარებებთან მიმართებაში, რომლებმაც შესაძლოა ეჭვის ქვეშ დააყენოს კომპანიის უნარი განაგრძოს ფუნქციონირება როგორც მოქმედმა საწარმომ. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ ადგილი აქვს არსებით გაურკვევლობას, ჩვენს აუდიტორთა დასკვნაში ყურადღება უნდა გავამახვილოთ ფინანსურ ანგარიშგებაში შესაბამის ინფორმაციაზე, ან თუ ამგვარი ინფორმაცია არაადეკვატური იქნება, ჩვენი მოსაზრებაც მოდიფიცირებული იქნება. ჩვენი მსჯელობები ეფუძნება ჩვენი აუდიტორთა დასკვნის შედგენის თარიღამდე მიღებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. ამასთან, მომავალში წარმოშობილმა მოვლენებმა და შექმნილმა ვითარებებმა შესაძლოა აიძულოს კომპანია შეწყვიტოს ფუნქციონირება, როგორც მოქმედმა საწარმომ;

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების მთლიან წარმოდგენას, მის სტრუქტურას და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და იმას, წარმოაჩენს თუ არა ფინანსური ანგარიშგება ძირითად გარიგებებსა და მოვლენებს ისეთი ფორმით, რომ უზრუნველყოფილ იქნას სამართლიანად წარდგენა;

სხვა მრავალ საკითხთან ერთად, მმართველობაზე პასუხისმგებელ პირებს ვუზიარებთ ინფორმაციას აუდიტის მასშტაბისა და ვადების, ასევე მნიშვნელოვანი აუდიტორული მსჯელობების შესახებ, მათ შორის ჩვენს მიერ აუდიტის პროცესში აღმოჩენილი შიდა კონტროლის მექანიზმებთან დაკავშირებული ნებისმიერი მნიშვნელოვანი ხარვეზის შესახებ.

მოსაზრება მმართველობით ანგარიშგებაზე

ჩვენი აზრით, თანდართული მმართველობის ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, მოქმედი მარეგულირებელი ნორმატიული აქტების შესაბამისია და თანხვედრილია კომპანიის 2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებასთან. ანგარიშგება სათანადოდ წარმოადგენს კომპანიის საქმიანობის, მდგომარეობისა და მომავალი განვითარების შესაძლებლობებისა და რისკების შესახებ ინფორმაციას.

მოსაზრების საფუძველი მმართველობით ანგარიშგებაზე

მმართველობის ანგარიშგების შემოწმება განხორციელდა ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ კანონისა და კანონქვემდებარე აქტების, სახელმძღვანელოებისა და რეკომენდაციების მოთხოვნების შესაბამისად. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისაგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული „პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის“ შესაბამისად. ჩვენ შევასრულეთ აღნიშნული კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. ჩვენ მივიჩნევთ, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული მარწმუნებელი მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

პარტნიორი აუდიტისა, რომლის შედეგადაც მოცემული დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა გაიცა, არის:

თამარ კაპანაძე

მპს აუდიტ-თა

თბილისი, საქართველო

2025 წლის 26 სექტემბერი



კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	შენიშვნა	31-დეკ-2024	31-დეკ-2023
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	5	360,615	352,973
არამატერიალური აქტივები		42,560	42,560
გრძელვადიანი აქტივების ჯამი		403,175	395,533
მიმდინარე აქტივები			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	6	2,624,948	5,312,310
მარაგები	7	9,908,487	11,985,033
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	8	539,202	2,165,483
საგადასახადო აქტივი		602,889	419,635
გაცემული სესხები		84,035	84,035
მიმდინარე აქტივების ჯამი		13,759,561	19,966,496
სულ აქტივები		14,162,736	20,362,029
კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება/(ზარალი)	9	5,503,155	8,816,564
სულ კაპიტალი		5,503,155	8,816,564
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	11	2,932,913	990,023
გრძელვადიანი ვალდებულებების ჯამი		2,932,913	990,023
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	10	5,209,096	10,380,732
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	11	517,573	174,710
მიმდინარე ვალდებულებების ჯამი		5,726,669	10,555,442
სულ ვალდებულებები		8,659,581	11,545,465
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		14,162,736	20,362,029

ხელმოწერილი პირი:

კახა სეფაშვილი

2025 წლის 26 სექტემბერი

თბილისი, საქართველო

შენიშვნები გვერდებზე 10-31 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.

შპს „აიპლიუსი“

ფინანსური უწყისები და განმარტებითი შენიშვნები კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებზე
2024 წლის 31 დეკემბერი

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	შენიშვნა	31-დეკ-2024	31-დეკ-2023
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	5	360,615	352,973
არამატერიალური აქტივები		42,560	42,560
გრძელვადიანი აქტივების ჯამი		403,175	395,533
მიმდინარე აქტივები			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	6	2,624,948	5,312,310
მარაგები	7	9,908,487	11,985,033
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	8	539,202	2,165,483
საგადასახადო აქტივი		602,889	419,635
გაცემული სესხები		84,035	84,035
მიმდინარე აქტივების ჯამი		13,759,561	19,966,496
სულ აქტივები		14,162,736	20,362,029
კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება/(ზარალი)	9	5,503,155	8,816,564
სულ კაპიტალი		5,503,155	8,816,564
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	11	2,932,913	990,023
გრძელვადიანი ვალდებულებების ჯამი		2,932,913	990,023
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	10	5,209,096	10,380,732
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	11	517,573	174,710
მიმდინარე ვალდებულებების ჯამი		5,726,669	10,555,442
სულ ვალდებულებები		8,659,581	11,545,465
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		14,162,736	20,362,029

ხელმოწერილი პირი:

კახა სეფაშვილი

2025 წლის 26 სექტემბერი

თბილისი, საქართველო

შენიშვნები გვერდებზე 10-31 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.

შპს „აიპლიუსი“

ფინანსური უწყისები და განმარტებითი შენიშვნები კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებზე
2024 წლის 31 დეკემბერი

მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	შენიშვნა	31-დეკ-2024	31-დეკ-2023
ამონაგები	12	72,311,359	106,324,753
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	13	(64,595,698)	(96,793,481)
საერთო მოგება		7,715,660	9,531,272
სხვა შემოსავლები		545,366	35,953
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	14	(6,212,284)	(7,388,083)
სხვა ხარჯები		(873,657)	(754,900)
საოპერაციო საქმიანობის შედეგები		1,175,086	1,424,242
ფინანსური შემოსავალი		(108,517)	(80,195)
საკურსო სხვაობით მიღებული მოგება/ზარალი		(137,841)	(108,559)
მოგება დაბეგვრამდე		928,728	1,235,488
მოგების გადასახადი		-	-
წლის მოგება/(ზარალი)		928,728	1,235,488
სხვა სრული შემოსავალი		-	-
წლის წმინდა მოგება		928,728	1,235,488

ხელმოწერი პირი:

კახა სეფაშვილი

2025 წლის 26 სექტემბერი

თბილისი, საქართველო

შენიშვნები გვერდებზე 10-31 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.

შპს „აიპლიუსი“

ფინანსური უწყისები და განმარტებითი შენიშვნები კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებზე
2024 წლის 31 დეკემბერი

მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება 2024 წლის 31
დეკემბრის მდგომარეობით

(ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	შენიშვნა	31-დეკ-2024	31-დეკ-2023
ამონაგები	12	72,311,359	106,324,753
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	13	(64,595,698)	(96,793,481)
საერთო მოგება		7,715,660	9,531,272
სხვა შემოსავლები		545,366	35,953
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	14	(6,212,284)	(7,388,083)
სხვა ხარჯები		(873,657)	(754,900)
საოპერაციო საქმიანობის შედეგები		1,175,086	1,424,242
ფინანსური შემოსავალი		(108,517)	(80,195)
საკურსო სხვაობით მიღებული მოგება/ზარალი		(137,841)	(108,559)
მოგება დაბეგვრამდე		928,728	1,235,488
მოგების გადასახადი		-	-
წლის მოგება/(ზარალი)		928,728	1,235,488
სხვა სრული შემოსავალი		-	-
წლის წმინდა მოგება		928,728	1,235,488

ხელმომწერი პირი:

კახა სეფაშვილი

ს. სეფაშვილი

2025 წლის 26 სექტემბერი
თბილისი, საქართველო

შენიშვნები გვერდებზე 10-31 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ
ნაწილს.

შპს „აიპლიუსი“

**ფინანსური უწყისები და განმარტებითი შენიშვნები კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებზე
2024 წლის 31 დეკემბერი**

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის
მდგომარეობით

(ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	აკუმულირებული მოგება	სულ
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	10,675,858	10,675,858
ცვლილებები	2,786	2,786
გაცემული დივიდენდი	(3,097,568)	(3,097,568)
პერიოდის შედეგი	1,235,488	1,235,488
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	8,816,564	8,816,564
გაცემული დივიდენდი	(4,242,137)	(4,242,137)
პერიოდის შედეგი	928,728	928,728
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	5,503,155	5,503,155

შენიშვნები გვერდებზე 10-31 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ
ნაწილს.

ფულადი სახსრების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	შენიშვნა	31-დეკ-2024	31-დეკ-2023
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
მოგება გადასახადით დაბეგვრამდე		928,728	1,235,488
ცვეთა და ამორტიზაცია		183,130	79,323
		1,111,858	1,314,811
ცვლილებები:			
სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში		1,626,281	485,522
ცვლილება მარაგებში		2,076,546	2,445,292
სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში		(5,171,636)	(848,965)
საგადასახადო აქტივებში		(183,254)	579,368
ოპერაციებიდან წარმოქმნილი ფულადი სახსრები		(540,205)	3,976,028
გადახდილი პროცენტები		(121,429)	(80,195)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		(661,634)	3,895,833
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა		(247,818)	-
ძირითადი საშუალებების გასვლა		36,695	-
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		(211,123)	-
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
სასესხო ვალდებულების ზრდა		3,187,304	
სასესხო ვალდებულების დაფარვა		(807,614)	(1,472,932)
დივიდენდის გადახდა		(4,242,137)	(2,742,139)
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		(1,862,447)	(4,215,071)
ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა/(კლება)		(2,735,204)	(319,238)
ვალუტის გავლენის ცვლილება		47,842	(195,218)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	8	5,312,310	5,826,766
საანგარიშგებო წლის დასაწყისში			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	8	2,624,948	5,312,310
საანგარიშგებო წლის ბოლოს			

შესავალი

ზოგადი ინფორმაცია

შპს „აიპლიუსი“ არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც დაფუძნებულია 2014 წლის 2 სექტემბერს საქართველოს კანონმდებლობების შესაბამისად. იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. თბილისი, ვაკის რაიონი, ჭავჭავაძის გამზირი №19.

კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერია 405060543.

კომპანიის 50 % იანი წილის მფლობელი არის რამაზი შეყილაძე (პ/ნ 54001044321) და 50% იანი წილის მფლობელია შპს კაიაკი ს/ნ 405541677.

კომპანიის ყოველდღიურ საქმიანობას მართავს კომპანიის დირექტორი -კახა სეფაშვილი (პ/ნ 01024081355

2024 წლის საანგარიშგებო პერიოდში კომპანია ფლობს შპს „ბლოკჩეინი“-ს ს/ნ 406249180-ის 100% იან წილს. აღნიშნული კომპანია არ ფუნქციონირებს.

კომპანიის ძირითადი საქმიანობა არის: საცალო ვაჭრობა ტელესაკომუნიკაციო მოწყობილობებით სპეციალიზებულ მაღაზიებში, საცალო ვაჭრობა კომპიუტერებით, პერიფერიული მოწყობილობებით და პროგრამული უზრუნველყოფით სპეციალიზებულ მაღაზიებში. კომპიუტერების და პერიფერიული მოწყობილობების რემონტი, სხვა საფოსტო და საკურიერო მომსახურება, საცალო ვაჭრობა საფოსტო შეკვეთით ან ინტერნეტის საშუალებით, საცალო ვაჭრობა აუდიო და ვიდეომოწყობილობებით სპეციალიზებულ მაღაზიებში.

წარმოდგენილი ანგარიშის ვალუტა

კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL), რომელიც წარმოადგენს კომპანიის სამუშაო ვალუტას და რომელშიც მოცემული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია. ყველა ფინანსური ინფორმაცია წარმოდგენილია ლარში, თუ სხვანაირად არ არის მითითებული. ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, თავდაპირველად ჩაიწერება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. ანგარიშის პერიოდისთვის უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივები გადაიყვანება ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წლის ბოლოს არსებული კურსით. ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აისახება მოგება-ზარალზე.

უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტირებისათვის გამოყენებული გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

	2024	2023
1USD/GEL	2.8068	2.6894
1EUR/GEL	2.9306	2.9753

1 მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

ქვემოთ მოცემული სააღრიცხვო პოლიტიკა ჯგუფის მიერ თანმიმდევრულადაა გამოყენებული კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი ყველა პერიოდის მიმართ.

კონსოლიდაციის საფუძველი შვილობილი

შვილობილი არის კომპანიის მიერ კონტროლირებული საწარმო. ჯგუფი აკონტროლებს კომპანიას თუ მას აქვს შვილობილ კომპანიაში ჩართულობით ცვალებადი ამონაგების მიღების და ასევე ამონაგებზე გავლენის მოხდენის უფლებამოსილება. შვილობილი კომპანიების ფინანსური ანგარიშები ჩართულია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში, კონტროლის განხორციელების მომენტიდან მისი შეწყვეტის მომენტამდე.

კონტროლის დაკარგვა

მას შემდეგ რაც კონტროლი დაიკარგება, ჯგუფი წყვეტს შვილობილის აქტივების და ვალდებულებების, ნებისმიერი არამაკონტროლებელი წილის და საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტების აღიარებას რომლებიც შვილობილს უკავშირდება. ნებისმიერი ნამეტი ან დეფიციტი რომელიც წარმოიშება კონტროლის დაკარგვისას აღიარდება მოგება ან ზარალში. თუ ჯგუფი ინარჩუნებს რაიმე წილს ყოფილ შვილობილში, ასეთი წილი შეფასებულია რეალური ღირებულებით კონტროლის დაკარგვის თარიღის მდგომარეობით.

კონსოლიდაციისას ამოღებული ოპერაციები

შიდა ჯგუფური ნაშთები და ოპერაციები, და ნებისმიერი არარეალიზებული შემოსავალი და ხარჯები, რომელიც წარმოიქმნება შიდა ჯგუფური ოპერაციებით ამოღებულია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას.

მომზადების საფუძვლები

შესაბამისობის პრინციპი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპისა და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად, რომლებიც ძალაშია 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

ფინანსური ანგარიშგება მოიცავს მოგების ან ზარალის და სრული შემოსავლის, ფინანსური მდგომარეობის, კაპიტალში ცვლილებებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებებს და განმარტებით შენიშვნებს.

რადგან 2024 წლის 31 დეკემბრისთვის ძალაში მყოფი სტანდარტები და ინტერპრეტაციები შეიძლება შეიცვალოს ბასს-ის (IASB) ან საერთაშორისო ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტაციის კომიტეტის (IFRIC) მიერ, მენეჯმენტი არ გამორიცხავს ალბათობას, რომ საბოლოო ფინანსური ანგარიშგების შედგენამდე საჭირო გახდეს ფინანსური ანგარიშგებების კორექტირება ამ ცვლილებების გამო.

შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების მეთოდით, თუ ქვემოთ მოცემულ სააღრიცხვო პოლიტიკაში სხვა რამ არ არის ნახსენები. ისტორიული ღირებულება ზოგადად დაფუძნებულია აქტივების სანაცვლოდ გაცემული თანხის სამართლიან ღირებულებაზე.

სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად ან გადაიხდება ვალდებულების გასტუმრების შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში, შეფასების თარიღისთვის. როდესაც ხდება აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულებით შეფასება, კომპანია იყენებს ბაზარზე გავრცელებულ მონაცემებს, რამდენადაც ისინი ხელმისაწვდომია. იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების პირდაპირ დადგენა, კომპანია ახორციელებს მის შეფასებას (გარე კვალიფიციურ შემფასებლებთან მჭიდრო თანამშრომლობით) ისეთი შეფასების მეთოდების გამოყენებით, რომელიც მაქსიმალურად იყენებს შესაბამის საბაზრო მონაცემებს და მინიმალურად იყენებს არასაბაზრო

მონაცემებს (მაგ: საბაზრო შედარებითი მიდგომის გამოყენებით, რომელიც ასახავს მსგავსი ინსტრუმენტების უკანასკნელი ტრანზაქციის ფასებს, ან დისკონტირებული ფულადი ნაკადის ანალიზით). მონაცემები შეესაბამება აქტივის/ვალდებულების მახასიათებლებს, რომლებსაც გაითვალისწინებდნენ ბაზრის მონაწილეები

ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

მენეჯმენტმა მოამზადა აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებები ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებით. აღნიშნული გადაწყვეტილების მისაღებად მენეჯმენტმა გაითვალისწინა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე გეგმები, დადებითი ფულადი სახსრების მოძრაობა, კომპანიის ოპერაციების მომგებიანობა და საჭიროების შემთხვევაში ადგილობრივ ფინანსურ რესურსებზე წვდომა, ანგარიშის პერიოდის შემდგომ მინიმუმ 12 თვის განმავლობაში.

ფინანსური ინსტრუმენტები - ძირითადი შეფასების პირობები

კლასიფიკაციის გათვალისწინებით, როგორც ეს ქვემოთ არის აღწერილი, ფინანსური ინსტრუმენტები აღირიცხება რეალური ან ამორტიზებული ღირებულებით.

რეალური ღირებულება არის ის თანხა, რა თანხადაც შესაძლოა აქტივის გადაცვლა/რეალიზება ან ვალდებულების გადახდა, ნებაყოფლობით თანაბარი ინფორმაციის მქონე ორ მხარეს შორისგაშლილი ხელის მანძილის პირობებში. რეალური ღირებულება არის ფინანსური აქტივების მიმდინარე შეთავაზების ფასი და მოქმედ ბაზარზე მოვაჭრე ფინანსური ვალდებულებების მიმდინარე მოთხოვნილი ფასი. იმ აქტივებისთვის და ვალდებულებებისთვის, რომლებიც აბათილებენ ერთმანეთის საბაზრო რისკს, კომპანიას შეუძლია გამოიყენოს საშუალო საბაზრო ფასი რისკის პოზიციის გაქვითვისათვის რეალური ღირებულებების განსაზღვრისას და მიუსადაგოს შეთავაზების ან მოთხოვნის ფასი სუფთა ღია პოზიციას. ფინანსური ინსტრუმენტები აღებულია საბაზრო ფასად, როგორც ის შეფასებულია მოქმედ ბაზარზე, თუკი მოცემული ფასები რეგულარულად ხელმისაწვდომია გადაცვლის ან სხვა დაწესებულებისგან და აღნიშნული ფასები წარმოადგენს რეალურ და რეგულარულად დამოუკიდებელ მხარეებს შორის განხორციელებულ საბაზრო ტრანზაქციების ღირებულებას.

იმ ფინანსური აქტივების რეალური ღირებულების შესაფასებლად, რომლისთვისაც არ არსებობს ინფორმაცია გარე საბაზრო ფასების შესახებ გამოიყენება სხვადასხვა შეფასების მეთოდები, როგორიცაა დისკონტირებული ფულადი ნაკადების მოდელი, ან მოდელები დაფუძნებული ბოლო პერიოდში დამოუკიდებელ მხარეებს შორის განხორციელებულ ტრანზაქციებზე, ან ინვესტორების ფინანსური მონაცემების გათვალისწინება. შეფასების მეთოდები შეიძლება საჭიროებდეს დაშვებებს, რომელიც დაკვირვებადი ბაზრის ინფორმაციით არ დასტურდება. შენიშვნები კეთდება მსგავსი განსაკუთრებული მიზნის მქონე ფინანსური ინსტრუმენტების შესახებ, იმ შემთხვევაში თუ მსგავსი დაშვების შეცვლა უფრო გონივრულად დასაშვები ალტერნატივით გამოიწვევს მნიშვნელოვან სხვაობას მოგებაში, შემოსავალში, მთლიან აქტივებში ან მთლიან ვალდებულებებში.

ტრანზაქციის დანახარჯები არის ფინანსური ინსტრუმენტის შეძენაზე, გამოშვებაზე ან რეალიზაციაზე პირდაპირ მიკუთვნებადი ნამატი ხარჯები. ნამატი ხარჯი არის დანახარჯი, რომელზეც არ გაიწეოდა ტრანზაქცია, რომ არ მომხდარიყო. ტრანზაქციის ხარჯები შეიცავს შუამავლისთვის (გაყიდვების შუამავლად დასაქმებული თანაშრომლის ჩათვლით), მრჩეველის, ბროკერისა და დილერისათვის გადახდილ მოსაკრებელს და საკომისიოს, მარეგულირებელი სააგენტოების და ფასიანი ქაღალდების გაცვლის გადასახადს, სატრანსფერო გადასახადს. ტრანზაქციის ხარჯი არ შეიცავს ვალდებულების პრემიუმს ან ფასდაკლებას, ფინანსირების ხარჯებს ან შიდა ადმინისტრაციულ თუ ფლობის ხარჯს.

ამორტიზებული ღირებულება არის სხვაობა ფინანსური ინსტრუმენტის პირველად აღიარების თანხასა და ძირის გადახდას შორის, დამატებული დარიცხული პროცენტი და ფინანსური აქტივის შემთხვევაში ასევე გამოკლებული გაუფასურების დანაკარგის ჩამოწერა. დარიცხული პროცენტი შეიცავს პირველადი აღიარებისას განსაზღვრული ტრანზაქციის ღირებულებისა და სარგებლიანობის ვადის

ამოწურვისათვის განსაზღვრული ნებისმიერი პრემიუმის ან ფასდაკლების თანხის ამორტიზაციას ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. დარიცხული საპროცენტო შემოსავალი და დარიცხული საპროცენტო ხარჯი, დარიცხული კუპონი და ამორტიზებული პრემიუმის ან ფასდაკლების ჩათვლით (წარმოქმნისას მომხდარი გადასახადების ჩათვლით), ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის წარმოდგენილი განცალკევებით და შედის დაკავშირებული პუნქტების მიმდინარე ღირებულებაში.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის საპროცენტო შემოსავლის ან საპროცენტო ხარჯის შესაბამის პერიოდზე განაწილების მეთოდი მიმდინარე ღირებულებაზე პერიოდის მუდმივი საპროცენტო განაკვეთის (ეფექტური საპროცენტო განაკვეთის) მისაღებად. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი, არის განაკვეთი, რომელიც ფინანსური ინსტრუმენტის სასიცოცხლო ვადის განმავლობაში განსაზღვრული მომავალი ფულადი ნაკადების მთლიანად ადისკონტირებს ფინანსური ინსტრუმენტის მიმდინარე სუფთა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი ახდენს სხვადასხვა საპროცენტო ინსტრუმენტების შემდეგ პროცენტის გადაფასების თარიღამდე დისკონტირებას, გარდა პრემიუმის ან ფასდაკლებისა, რომელიც ასახავს საკრედიტო სპრედს კონკრეტული ფინანსური ინსტრუმენტის მცურავ კურსზე და სხვა ცვლადებზე, რომელიც არ სწორდება საბაზრო განაკვეთით. მსგავსი პრემიუმის და ფასდაკლების ამორტიზება ხდება ინსტრუმენტის მთელი სასიცოცხლო ვადის განმავლობაში. მიმდინარე ღირებულების გამოთვლა გულისხმობს კონტრაქტის მხარეებს შორის გადახდილ ან მიღებულ ყველა გადასახადებს, რომელიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელი ნაწილია.

ფინანსური აქტივების და ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია

კომპანიის მთლიანი ფინანსური აქტივები ხვდება სესხების და მოთხოვნების განსაზღვრის კატეგორიაში. სესხები და მოთხოვნები არის არადერივატიული ფინანსური აქტივები ფიქსირებული და განსაზღვრული გადახდებით, რომელიც მოქმედ ბაზარზე არ არის შეფასებული. აღნიშნული ფინანსური აქტივები ბალანსის თარიღიდან 12 თვეზე ნაკლებ პერიოდში დაფარვის ვადით, შედის მიმდინარე აქტივებში, 12 თვის ზემოთ - გრძელვადიან აქტივებში.

კომპანიის მთლიანი ფინანსური აქტივები კლასიფიცირებულია, როგორც სხვა ფინანსური ვალდებულებები და აღიარებულია ამორტიზებული ღირებულებით.

ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარება

ყველა ფინანსური აქტივი და ვალდებულება თავდაპირველად აღიარდება სამართლიან ღირებულებას დამატებული ტრანზაქციის დანახარჯები. თავდაპირველი აღიარებისას სამართლიან ღირებულებას ყველაზე კარგად ასახავს ტრანზაქციის ფასი. სარგებელი ან დანაკარგი თავდაპირველი აღიარებისას აღირიცხება მხოლოდ მაშინ თუ არსებობს სხვაობა სამართლიან ღირებულებასა და ტრანზაქციის ფასს შორის, რომელიც შეიძლება გამოიკვეთოს მსგავს ინსტრუმენტებზე სხვა მიმდინარე საბაზრო ტრანზაქციებზე დაკვირვებით, ან შეფასების მეთოდით, რომლის შემავალი მონაცემები შეიცავს მხოლოდ ინფორმაციას დაკვირვებადი ბაზრებიდან.

ფინანსური აქტივის ყველა შესყიდვა, ან რეალიზაცია, რომელიც მოითხოვს აქტივის გარკვეული დროის საზღვრებში მიწოდებას. დაწესებული რეგულაციით, თუ ბაზრის პირობებით (ვაჭრობის მიღებული წესი) აღიარდება რეალიზაციის/შესყიდვის თარიღით, კერძოდ თარიღით, როცა კომპანია აიღებს ვალდებულებას შეიძინოს, ან გაყიდოს აქტივი. ყველა სხვა შესყიდვა აღიარდება იმ თარიღით როდესაც პირი გახდება ინსტრუმენტის ხელშეკრულების ვალდებულების მხარე.

ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტა

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას, როდესაც ა) მოხდება აქტივის გამოსყიდვა, ან აქტივისგან მისაღები ფულადი ნაკადები სხვა მიზეზით ამოიწურება; ბ) კომპანიამ გადასცა აქტივიდან მისაღები ფულადი ნაკადების უფლება ან შევიდა შუამავლის გარიგებაში, როდესაც 1) ასევე გადასცემს აქტივის ფლობის სარგებლის და რისკების მნიშვნელოვან წილს, ან 2) არც გადასცემს, მაგრამ არც იტოვებს სარგებლის და რისკების მნიშვნელოვან რისკებს, მაგრამ ასევე უარს ამბობს კონტროლზე. კონტროლი ნარჩუნდება, იმ შემთხვევაში თუ მეორე მხარეს არ აქვს უფლება მთლიანი აქტივის მესამე პირზე რეალიზაციის, რეალიზაციაზე გარკვეული შეზღუდვების დაწესების გარეშე.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივის გაუფასურება

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივის გაუფასურება ხდება, მისი თავდაპირველი აღიარების შემდგომ პერიოდში მომხდარი ერთი ან რამდენიმე მოვლენით („დანაკარგის მოვლენები“), რომელსაც გავლენა აქვს ფინანსური აქტივის ან ფინანსური აქტივების ჯგუფისგან მისაღები მომავალი ფულადი ნაკადების მოცულობაზე ან ვადებზე და შეიძლება ამის საიმედოდ განსაზღვრა, გამოწვეული გაუფასურების დანაკარგები აღიარდება მოგება-ზარალზე მათი მოხდენის პერიოდში. თუ კომპანია დაასკვნის, რომ არ არსებობს ინდივიდუალურად შეფასებული ფინანსური აქტივის გაუფასურების მოხდენის ობიექტური მტკიცებულება, იქნება ეს მნიშვნელოვანი თუ არა, იგი შეიყვანს აღნიშნულ ფინანსურ აქტივს მსგავსი საკრედიტო რისკის მქონე აქტივების ჯგუფში და მოახდენს მათ ჯგუფურ ტესტირებას გაუფასურებაზე. ფინანსური აქტივის გაუფასურების შესამოწმებლად კომპანიის მიერ ძირითადად გამოყენებული ფაქტორები არის მისი ვადაგადაცილებულობის სტატუსი და მისი შესაბამისი უზრუნველყოფის, ასეთის არსებობის შემთხვევაში სანდოობა. ფინანსური აქტივის გაუფასურების შემოწმების სხვა ძირითადი კრიტერიუმს წარმოადგენს:

- დავალიანების გარკვეული ნაწილი ვადაგადაცილებულია და ვადაგადაცილება არ არის გამოწვეული გადახდის სისტემის დაყოვნებით. მეორე მხარე განიცდის მნიშვნელოვან ფინანსურ სირთულეს, როგორც ეს ჩანს კომპანიის მიერ მოპოვებული ფინანსური ინფორმაციით;
- მეორე მხარე განიხილავს გაკოტრების ან ფინანსური რეორგანიზაციის ვარიანტს;
- სახეზეა მეორე მხარის მიერ გადახდების სტატუსის მნიშვნელოვანი გაუარესება ეროვნული ან ადგილობრივი ეკონომიკური მდგომარეობის ცვლილებების შედეგად, რომელსაც გავლენა აქვს მეორე მხარეზე ან;
- უზრუნველყოფის ღირებულება მნიშვნელოვნად მცირდება ბაზრის პირობების მნიშვნელოვანი გაუარესების შედეგად.

თუკი მოხდა ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული გაუფასურებული ფინანსური აქტივის პირობების გადახედვა ან სხვაგვარად მოდიფიკაცია მეორე მხარის ფინანსური სირთულეების გამო, გაუფასურება გამოითვლება პირობების ცვლილებამდე არსებული თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით.

გაუფასურების დანაკარგი ყოველთვის აღიარდება სარეზერვო ანგარიშზე აქტივის საბალანსო ღირებულების მოსალოდნელი ფულადი ნაკადების (რომელიც არ შეიცავს მომავალ საკრედიტო დანაკარგებს, რომელიც ჯერ არ მომხდარა) აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებულ ღირებულებამდე ჩამოსაწერად. უზრუნველყოფილი ფინანსური აქტივის მოსალოდნელი მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულების გამოთვლა მოიცავს უზრუნველყოფილი აქტივისგან მოსალოდნელ ფულად ნაკადებს, გამოკლებული მისი მიღების და რეალიზაციის დანახარჯები, იმის მიუხედავად არის თუ არა უზრუნველყოფილი აქტივის მოსალოდნელი რეალიზაცია.

თუკი შემდგომ პერიოდში მოხდება გაუფასურების ზარალის შემცირება და ეს შემცირება შეიძლება საიმედოდ მიეკუთვნოს გაუფასურების ზარალის აღიარების შემდგომი პერიოდის მოვლენას (როგორცაა დებიტორის საკრედიტო რეიტინგის გაუმჯობესება), მანამდე აღიარებული გაუფასურების ზარალის გაუქმება მოხდება სარეზერვო ანგარიშის დაკორექტირებით წლის მოგება-ზარალზე.

უიმედო აქტივები ჩამოიწერება შესაბამის გაუფასურების დანაკარგის რეზერვის ანგარიშზე აქტივის აღდგენისათვის ყველა საჭირო პროცედურის დასრულების და დანაკარგის მოცულობის განსაზღვრის შემდეგ. წინაპერიოდში ჩამოწერილი თანხების შემდგომი აღდგენა დაკრედიტდება გაუფასურების დანაკარგის ანგარიშზე წლის მოგება-ზარალზე.

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ფულს ბანკში და ატარებს ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფულადი საშუალებები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. შეზღუდული ნაშთები გამოირიცხება ფულადი საშუალებებისგან ფულადი ნაკადების ანგარიშგების მიზნებისთვის. შეზღუდული ნაშთები რომელთა გამოყენება არ შეიძლება 12 თვის განმავლობაში ვალდებულებების დასაფარად ან სხვა გაცვლითი ტრანზაქციებში გამოყენებისაგან აღიარდება ბალანსზე როგორც სხვა გრძელვადიანი მოვლენები.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები აღირიცხება მათ თავდაპირველ თვითღირებულებას, დაკლებული დაგროვილი ცვეთა ან/და გაუფასურების ღირებულებით. ძირ. საშუალების თვითღირებულება შედგება მშენებლობის ხარჯის ან შესყიდვის ფასისგან, მასთან დაკავშირებული იმპორტის გადასახადების, გამოუქვითავი გადასახადების და სხვა პირდაპირი ხარჯების ჩათვლით. ნებისმიერი სავაჭრო ფასდაკლება გამოაკლდება შეყიდვის ან მშენებლობის ფასს. მცირე შეკეთება-განახლება აღიარდება მოგება/ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე. ხარჯები დაკავშირებული ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილის ან კომპონენტების ჩანაცვლებასთან კაპიტალიზირდება და ჩანაცვლებული ნაწილი ჩამოიწერება. ყველა აქტივი წარმოდგენილია საწყისი ღირებულებით, გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს მენეჯმენტი აფასებს, არსებობს თუ არა ძირითადი საშუალებების გაუფასურების რაიმე ნიშნები. თუ გაუფასურებას ჰქონდა ადგილი, ხდება ძირითადი საშუალებების ჩამოფასება უმაღლესი თანხით შემდეგ ორს შორის: გამოყენების ღირებულება და სამართლიან ღირებულებას გამოკლებული გაყიდვის ხარჯები. საბალანსო ღირებულების შემცირება აისახება მოგება-ზარალზე. წინა პერიოდში აღიარებული აქტივის გაუფასურების დანაკარგი გაიქვითება, თუკი მოხდება აქტის გამოყენების ღირებულების ან სამართლიან ღირებულებას გამოკლებული გაყიდვის დანახარჯების ღირებულების გამოსათვლელად საჭირო დაშვებების ცვლილება.

ძირითადი საშუალებების ჩამოწერა/რეალიზაციიდან მისაღები თანხების საბალანსო ღირებულებასთან შედარებით განსაზღვრული სარგებელი და ზარალი აღიარდება მოგება-ზარალში.

ცვეთა

ძირითადი საშუალების ცვეთის დარიცხვა წარმოებს მისი ექსპლუატაციაში შესვლის მომენტიდან. საკუთარი ძალებით შექმნილი აქტივისათვის - თარიღიდან, როდესაც ის დასრულებულად ითვლება და მზადაა გამოყენებისათვის. ცვეთა გამოითვლება საწყის ღირებულებასა და საბოლოო ნარჩენ ღირებულებას შორის სხვაობით.

ცვეთა აღიარდება მოგება-ზარალში წრფივი მეთოდით აქტივის თითოეული ნაწილის სასარგებლო გამოყენების ვადის განმავლობაში. ასეთი აღრიცხვა ყველაზე ზუსტად ასახავს აქტივისგან მიმდინარე პერიოდში მისაღები მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოსალოდნელ ოდენობას. მიწა არ იცვითება.

ნარჩენი ღირებულება არის სავარაუდო ღირებულება, რასაც კომპანია მიიღებდა ა ძირითადი საშუალების გაყიდვიდან, გაყიდვის ხარჯების გამოკლებით. ძირითადი საშუალებების მომსახურების პერიოდი გადაიხედება ყოველწლიურად და იცვლება საჭიროების შემთხვევაში.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივი არის ფიზიკური ფორმის არმქონე იდენტიფიცირებადი არაფულადი აქტივი. არამატერიალური აქტივები ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ (ა) ამ აქტივისგან მოსალოდნელია ეკონომიკური მოგების მიღება; და (ბ) შესაძლებელია აქტივის ღირებულების სარწმუნო (რეალური) შეფასება. თავდაპირველი აღიარების შემდეგ არამატერიალური აქტივები აღირიცხება დაგროვილი ამორტიზაციით და ნებისმიერი გაუფასურების ზარალით შემცირებული ღირებულებით. ამორტიზაცია გამოანგარიშება წრფივი მეთოდის გამოყენებით და სასარგებლო მომსახურეობის ვადის გათვალისწინებით. კომპანიის არამატერიალური აქტივების ნაშთი შედგება პროგრამული სისტემის ღირებულებისგან, რომლის სასარგებლო მომსახურეობის ვადაა 10 წელი. არამატერიალური აქტივები განუსაზღვრელი საექსპლუატაციო ვადით არ ამორტიზირდება. ისინი ყოველწლიურად გადაიხედება გაუფასურაზე და გაუფასურების ზარალი, რომელიც წარმოშობისთანავე დაუყოვნებლივ აისახება სრული შემოსავლების ანგარიშგებაში. არამატერიალური აქტივები განუსაზღვრელი საექსპლუატაციო ვადით გადაიხედება ყოველწლიურად იმ მიზნით, რო დადგინდეს კიდევ არის თუ არა საექსპლუატაციო ვადა განუსაზღვრელი. თუ დადგინდება, რომ საექსპლუატაციო ვადა განსაზღვრულია, მაშინ ასეთი არამატერიალური აქტივები ამორტიზდება განსაზღვრული საექსპლუატაციო ვადით.

შემოსავლის აღიარება

კომპანია აღიარებს საქონლის ან მომსახურების მომხმარებლისადმი გადაცემით მიღებულ შემოსავალს იმ ოდენობით, რომელსაც ის მოელის, რომ მიიღებს მომხმარებლისადმი აღნიშნული საქონლის ან მომსახურების გადაცემის შედეგად.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ვალდებულებას იმ საქონლისა თუ მომსახურებისთვის, რომელიც კომპანიამ შეიძინა მისი მომწოდებლებისგან ჩვეულებრივი ბიზნეს ოპერაციებით. სავაჭრო მოთხოვნები კლასიფიცირდება, როგორც მიმდინარე ვალდებულებები, თუ გადახდის ვალდებულება არის ერთ წელამდე პერიოდში, თუ არა, როგორც გრძელვადიანი ვალდებულებები. ამჟამად კომპანიის მთლიანი სავაჭრო ვალდებულებების დაფარვა მოსალოდნელია საბალანსო ანგარიშგების თარიღიდან ერთ წელამდე პერიოდში და კლასიფიცირებულია, როგორც მიმდინარე ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებების თავდაპირველი აღიარებისას ფასდება სამართლიანი ღირებულებით და შემდგომ პერიოდში ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი წარმოდგენილია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. მოგების გადასახადი წარმოადგენს მიმდინარე გადასახადს და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ის პირდაპირ აღიარებულია კაპიტალში, რადგანაც უკავშირდება ოპერაციებს, რომლებიც იმავე ან განსხვავებულ პერიოდში, ასევე პირდაპირ კაპიტალში აღიარდება.

მიმდინარე მოგების გადასახადი არის მიმდინარე ან გასული პერიოდის დასაბეგრი მოგების გადასახდელი ან ზარალის შესაბამისი მოგების გადასახადის აღდგენადი თანხა. იმ შემთხვევაში თუ ფინანსური ანგარიშგების გამოქვეყნება ხდება საგადასახადო დეკლარაციების ჩაბარებამდე, დასაბეგრი მოგება ან ზარალი ეფუძნება შეფასებებს. გადასახადები, მოგების გარდა, აღირიცხება ადმინისტრაციულ და სხვა საოპერაციო ხარჯებში.

გადავადებული მოგების გადასახადი აღარ მიესადაგება ფინანსურ ანგარიშგებებს, იქიდან გამომდინარე, რომ საქართველოს ახალი საგადასახადო კოდექსით აღარ გამოიყენება.

მარაგები

მარაგები აღირიცხება ღირებულებასა და სუფთა სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესით.

მარაგების თვითღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდით. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება განისაზღვრება გასაყიდ ფასსა და დამთავრებისა და გაყიდვის მოსალოდნელი ხარჯების სხვაობით.

წინასწარ გადახდილი ხარჯები

წინასწარ გადახდილი ხარჯები აღიარდება თვითღირებულებას გამოკლებული გაუფასურების რეზერვით. წინასწარი გადახდა კლასიფიცირება გრძელვადიანად, როდესაც საქონელი ან მომსახურება, რომელიც სავარაუდოდ, მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ ან აღნიშნული წინასწარ გადახდა უკავშირდება აქტივს, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას თავად კლასიფიცირებული იქნება გრძელვადიან აქტივად.

ძირითადი საშუალებების შესაძენად განხორციელებული წინასწარი გადახდები გადავა ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულებაზე მაშინ, როდესაც კომპანია მიიღებს სრულ კონტროლს ამ ძირითად საშუალებაზე და მოსალოდნელია ამ აქტივისგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება.

სხვა წინასწარი გადახდები ჩამოიწერება მოგება-ზარალზე, როდესაც ხდება წინასწარ გადახდებთან დაკავშირებული შესაბამისი საქონლის ან მომსახურების მიღება. თუ არსებობს რაიმე სახის ეჭვი, რომ ვერ მოხდება საქონლის, მომსახურების თუ ძირითადი საშუალების მიღება, რომლისთვისაც წინასწარ გადახდილია თანხა, ამ შემთხვევაში ხდება აღნიშნული წინასწარ გადახდის ჩამოწერა მიმდინარე პერიოდის მოგება-ზარალზე.

საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალის ინვესტირება აღიარდება ნომინალური ღირებულებით და კლასიფიცირდება როგორც საწესდებო კაპიტალი. დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვლდებულება იმ პერიოდისთვის, რომელშიც იგი გამოცხადდება.

დივიდენდები

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკიდან გამომდინარე დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და აკლდება კაპიტალს იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მათი გამოცხადება და დამტკიცება. ნებისმიერი დივიდენდი, გამოცხადებული საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ და ფინანსური ანგარიშების დამტკიცებამდე, გამჟღავნდება შემდგომი პერიოდის მოვლენების შენიშვნაში.

სესხები

სესხები აღირიცხება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით ამორტიზებული ღირებულებით.

პერსონალის ხარჯი და მასთან დაკავშირებული შენატანები

ხელფასები, შენატანები საქართველოს საპენსიო და სადაზღვეო სისტემაში, წლიური შვებულების და ავადმყოფობის ანაზღაურებები, ბონუსები და არა-ფულადი სარგებლები აღირიცხება იმ წელს, როდესაც მოხდება შესაბამისი სერვისის მიღება თანამშრომლების მიერ. კომპანიას ყავს როგორც შტატისა და ასევე შტატგარეშე თანამშრომლები, თუმცა მათი სახელფასო ხარჯები და შენატანები საპენსიო და სადაზღვეო სისტემაში არ განსხვავდება საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები

კომპანიის ფინანსური ანგარიშგებების მომზადება მოითხოვს მენეჯმენტის მხრიდან გარკვეული შეფასებების და დაშვებების გაკეთებას, რომელიც გავლენას ახდენს მოგების, ხარჯების, აქტივების და ვალდებულებების ღირებულებაზე და მათ შესაბამის შენიშვნებზე და პირობითი ვალდებულების შენიშვნაზე. უზუსტობამ აღნიშნულ შეფასებებში და დაშვებებში შესაძლოა გამოიწვიოს ისეთი შედეგი, რომელიც საჭიროს გახდის აქტივის საბალანსო ღირებულების მატერიალურ კორექტირებას ან გავლენას მოახდენს ვალდებულებაზე მომავალ პერიოდში.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს არსებულ ნაღდ ფულს, დეპოზიტებს ბანკებში და მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე არსებულ ნაშთებს. ასევე ინვესტიციებს, რომელთა დაფარვის ვადა 90 დღეზე ნაკლებია. საბანკო ოვერდრაფტები, ასეთის არსებობის შემთხვევაში, ნაჩვენებია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში სხვა ვალდებულებების სახით.

ბანკში განთავსებული სამ თვეზე მეტი დაფარვის თარიღის მქონე დეპოზიტები გამოკლებულია ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების მუხლიდან და ნაჩვენებია ცალკე, ამორტიზირებული ღირებულებით.

შემოსავალი

ჩვეულებრივი საქმიანობის შედეგად მისაღები საქონლის და მომსახურების საფასური აღირიცხება მიღებული ან მისაღები რეალური ღირებულებით, რასაც შესაძლოა, დააკლდეს სხვადასხვა ტიპის ფასდაკლებები. შემოსავლის აღიარება როგორც წესი ხდება მომხმარებელთან გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე ან საცალო რეალიზაციის შემთხვევაში სასაქონლო ზედნადების გაცემის მომენტში, რომლითაც მფლობელობის რისკები გადასულია მომხმარებელზე, შესაბამისი გადასახადის მიღება სავარაუდოა, შესაძლოა ფასდაკლებები იოლად გამოთვალადია, მენეჯმენტის ხანგრძლივი ჩარევა აღარ არის საჭირო და მისაღები შემოსავლის მოცულობა საიმედოდ გამოითვლება.

ფინანსური შემოსავალი და ხარჯი

კომპანიის ფინანსური შემოსავალი და ხარჯი მოიცავს:

- საპროცენტო შემოსავალი
- საპროცენტო ხარჯი

საპროცენტო შემოსავლის და ხარჯის აღიარება ხდება ეფექტური პროცენტის მეთოდით. სესხის ხარჯები, რომელთა პირდაპირ მიკუთვნება შესაბამისი აქტივის შემენაზე, შექმნაზე ან აშენებაზე ვერ ხერხდება, აღიარდება მოგება-ზარალში ეფექტური პროცენტის მეთოდით.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

გარიგებები უცხოურ ვალუტაში აღირიცხება კომპანიის ფუნქციურვალუტაში, ლარში, გარიგებისდღეს არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის კურსით.

ანგარიშგების თარიღისათვის უცხოურ ვალუტაში დენომინირებული აქტივები და ვალდებულებები აღირიცხება კომპანიის ფუნქციურ ვალუტაში, ლარში, ანგარიშგების დღეს არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის კურსით. გადაფასებიდან მიღებული შემოსავალი ან ხარჯი არის სხვაობა პერიოდის დასაწყისისათვის ლარში ღირებულებასა, დაკორექტირებულს ეფექტური პროცენტით და პერიოდის განმავლობაშიშესასრულებელიგადასახადებით, და უცხოურ ვალუტაში ღირებულებას შორის, რომელიც გადაყვანილია ლარში პერიოდის ბოლოს კურსით.

გადასახადები

მოგების გადასახადი ჩვეულებრივ შედგება მიმდინარე და გადავადებული ნაწილებისაგან. ის აღიარდება მოგება-ზარალში გარდა პირდაპირ კაპიტალში ან სხვა სრული შემოსავლებში შესული ნაწილისა. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში ცვლილებების შედეგად, ვინაიდან კომპანიას არ გაუნაწილებია მოგება 2024 წლის განმავლობაში, ანგარიშგება არ მოიცავს მოგების გადასახადს გარდა შემთხვევებისა როდესაც კომპანია ახორციელებდა მოგების გადასახადით დასაბეგრ ოპერაციებს განსხვავებულს დივიდენდების განაწილებისაგან.

მონაგების, ხარჯებისა და აქტივების აღიარება ხდება დამატებული ღირებულების გადასახადის (დღგ) თანხის გამოკლებით, გარდა იმ შემთხვევებისა:

- ✓ როდესაც აქტივების ან მომსახურების შესყიდვაზე დარიცხული დამატებული ღირებულების გადასახადი არ ექვემდებარება საგადასახადო ორგანოსგან დაბრუნებას, დამატებული ღირებულების გადასახადის აღიარება მოხდება აქტივის შესყიდვაზე გაწეულ დანახარჯებში ან ხარჯის მუხლში, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე;
- ✓ როდესაც მოთხოვნები და ვალდებულებები მოიცავს დამატებული ღირებულების გადასახადს.

საგადასახადო ორგანოებისთვის გადასახდელი ან მათგან დასაბრუნებელი დამატებული ღირებულების გადასახადის წმინდა ოდენობა ასახულია წმინდა საფუძველზე კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების საგადასახადო აქტივის ან ვალდებულების ნაწილში.

საგადასახადო აქტივების და ვალდებულებების ნეტო საფუძველზე წარმოდგენა

2016 წლის 1 იანვრიდან საქართველოს კანონმდებლობაში შევიდა ცვლილებები გადასახადის გადახდის წესებთან დაკავშირებით. ახალი წესების მიხედვით, საქართველოს შემოსავლების სამსახური გააკონტროლებს გადასახადის გადამხდელის ნეტო (წმინდა) დავალიანებას სახელმწიფოს მიმართ გადასახადის გადამხდელის კონსოლიდირებული ანგარიშის დანერგვით. ამიტომ ჯგუფი თითოეული საწარმოს საგადასახადო ვალდებულებებსა და მოთხოვნებთან დაკავშირებულ აქტივებს და ვალდებულებებს ნეტო საფუძველზე წარმოადგენს.

კომპანია ფინანსური მდგომარეობის უწყისში ასახავს დღგ-ის აქტივს, როგორც მიმდინარე საგადასახადო აქტივს / წინასწარ გადახდილ ხარჯს.

მარაგები

მარაგები აღირიცხება საწყის ღირებულებასა და წმინდა გასაყიდ ღირებულება შორის უმცირესით.

მარაგების ღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდით. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება განისაზღვრება გასაყიდ ფასსა და დამთავრებისა და გაყიდვის მოსალოდნელი ხარჯების სხვაობით.

წმინდა გასაყიდი ღირებულება არის ჩვეულებრივი საქმიანობისას მისაღები გასაყიდი ფასი, რომელსაც აკლდება პროდუქტის დასრულებისა და გაყიდვის ხარჯები.

ძირითადი საშუალებები

აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებები აღირიცხება შეძენის ღირებულებით, რასაც აკლდება ცვეთა და გაუფასურების დაგროვილი დანაკარგები.

შემენის ღირებულება მოიცავს ხარჯებს, რომლებიც პირდაპირ მიკუთვნება აქტივის შემენაზე. კომპანიის მიერ შექმნილი აქტივის ღირებულება მოიცავს მასალების, პირდაპირი ხელფასების და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია აქტივის მუშა მდგომარეობაში მიყვანის, მათი არსებული მდებარეობიდან დაშლა-წამოღების, აღნიშნული მდებარეობის აღდგენის და შემენისათვის საჭირო სესხის კაპიტალიზირებულ ნაწილს. შემენილი პროგრამული უზრუნველყოფა, რომელიც აუცილებელია შესაბამისი დანადგარის მუშაობისათვის კაპიტალიზირდება, როგორც ამ დანადგარის ნაწილი.

თუ ძირითადი საშუალების ნაწილებს აქვთ სიცოცხლის განსხვავებული ხანგრძლივობა, ისინი აღირიცხება, როგორც ამ ძირითადი საშუალების ცალკეული ნაწილები, ძირითადი კომპონენტები.

ძირითადი საშუალების გაყიდვით მიღებული მოგება ან ზარალი განისაზღვრება მისაღები თანხის შედარებით მის ნარჩენ ღირებულებასთან და შესაბამისად აღიარდება წმინდა მოგება-ზარალად სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯში.

შემდგომი ხარჯები

ძირითადი საშუალების ნაწილის შეცვლის ხარჯი ემატება მის ნარჩენ ღირებულებას, თუ სავარაუდოა, რომ ნაწილის გამოყენებით მიღებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი კომპანიას დარჩება და თუ მისი ხარჯი საიმედოდ გაზომვადია. შეცვლილი ნაწილის ნარჩენი ღირებულება ჩამოიწერება. ძირითადი საშუალების ყოველდღიური მომსახურების ხარჯი მოგება-ზარალში ჩამოიწერება.

ცვეთა

ძირითადი საშუალების ცვეთის დარიცხვა წარმოებს მისი ექსპლუატაციაში შესვლის მომენტიდან. საკუთარი ძალებით შექმნილი აქტივისათვის - თარიღიდან, როდესაც ის დასრულებულად ითვლება და მზადაა გამოყენებისათვის. ცვეთა გამოითვლება საწყის ღირებულებასა და საბოლოო ნარჩენ ღირებულებას შორის სხვაობით.

ცვეთა აღიარდება მოგება-ზარალში წრფივი მეთოდით აქტივის თითოეული ნაწილის სასარგებლო გამოყენების ვადის განმავლობაში. ასეთი აღრიცხვა ყველაზე ზუსტად ასახავს აქტივისგან მიმდინარე პერიოდში მისაღები მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოსალოდნელ ოდენობას. მიწა არ იცვითება.

კომპანია ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის გადახედავს მიდგომებს ცვეთის, სასარგებლო გამოყენების ვადის და საბოლოო ნარჩენი ღირებულების მიმართ. საჭიროების შემთხვევაში კი შეიტანს მათში ცვლილებებს.

ფინანსური ინსტრუმენტები

კომპანია არაწარმოებულ ფინანსურ აქტივებს სესხებად და მოთხოვნებად აღრიცხავს.

კომპანია არაწარმოებულ ფინანსურ ვალდებულებებს სხვა ფინანსურ ვალდებულებათა კატეგორიაში აღრიცხავს.

არაწარმოებული ფინანსური აქტივები

კომპანია აღრიცხავს სესხებს და მოთხოვნებს მათი წარმოქმნის თარიღში. ყველა სხვა ფინანსური აქტივისა და ვალდებულების საწყისი აღიარება ხდება იმ გარიგების თარიღით, როდესაც კომპანია გახდა შესაბამისი ხელშეკრულების მხარე.

კომპანია ჩამოწერს ფინანსურ აქტივს, როდესაც ვადა გასდის მის უფლებას აქტივისგანმისაღებულად ნაკადებზე, ან კომპანია გადასცემს ასეთ ფულად ნაკადებს ხელშეკრულებით, რომლითაც შესაბამისი აქტივის ფლობის რისკები და სარგებელი თითქმის სრულად გადაეცემა სხვა მხარეს. გადაცემული აქტივის ნებისმიერი ნარჩენი სარგებელი აღირიცხება, როგორც ცალკე აქტივი ან ვალდებულება.

კომპანია ჩამოწერს ფინანსურ ვალდებულებას, მაშინ როდესაც შესაბამისი სახელშეკრულებო ვალდებულება შესრულდა, გაუქმდა ან ვადა გაუვიდა.

ფინანსური აქტივისა და ვალდებულების განაშთვით აღიარება და შესაბამისი წმინდა ნარჩენი ღირებულების ფინანსური მდგომარეობის უწყისში ასახვა ხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც კომპანიას აქვს იურიდიული უფლება, რომ ჩაითვალოს აღიარებული მოცულობა და აპირებს მისი წმინდა ღირებულებით გამოყენებას, ან აპირებს ერთდროულად გაყიდოს აქტივი და შეასრულოს ვალდებულება.

სესხები და მოთხოვნები

სესხები და მოთხოვნები ფიქსირებული ან წინასწარგანსაზღვრული გადახდების მქონე ისეთი ფინანსური აქტივების კატეგორიაა, რომლებიც მოქმედ ბაზარზე არ გვხვდება, ან ინფორმაცია მათ შესახებ არ არის საჯარო. ასეთი აქტივები თავდაპირველად აღიარდება რეალურ ღირებულებას დამატებული პირდაპირ მიკუთვნებადი გარიგების ხარჯების ღირებულებით. საწყისი აღიარების შემდეგ ეს აქტივები შეფასდება ამორტიზებული ხარჯით, ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით და მცირდება გაუფასურების ნებისმიერი ზარალით.

სესხებისა და მოთხოვნების კატეგორია მოიცავს გაცემულ მოკლევადიან სესხებს, მიწოდებიდან წარმოქმნილ მოთხოვნებს და ფულსა და მის ექვივალენტებს.

არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები - შეფასება

კომპანია აკლასიფიცირებს არაწარმოებულ ფინანსურ ვალდებულებებს სხვა ფინანსურ ვალდებულებებში. ასეთი ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით და მცირდება ნებისმიერ, ტრანზაქციაზე პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯით. საწყისი აღიარების შემდეგ ეს ფინანსური ვალდებულებები ფასდება ამორტიზებული ხარჯით, ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით.

სხვა ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სესხებს/კრედიტებს და მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილ ვალდებულებებს.

საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი შეთანხმებულია დამფუძნებელთან და კლასიფიცირდება კაპიტალად.

ის საანგარიშგებო პერიოდისთვის ნულ ლარს შეადგენს და იცვლება პერიოდულად, საწყისი კაპიტალის გაზრდის/შემცირების შესაბამისად, როდესაც ასეთი მოხდება.

საწესდებო კაპიტალის შემცირება

საწესდებო კაპიტალის შემცირება ან აქტივების არაფულადი განაწილება აღიარდება განაწილებული აქტივის ნარჩენი საბალანსო ღირებულებით.

გაუფასურება

არაწარმოებული ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივი შეფასდება ყოველ საანგარიშგებო თარიღისთვის, რათა დადგინდეს, არის თუ არა რაიმე ობიექტური მტკიცებულება, რომ იგი გაუფასურებულია. ფინანსური აქტივი ითვლება გაუფასურებულად, თუ ობიექტური მტკიცებულება მიუთითებს, რომ თავდაპირველი აღიარების შემდეგ დადგა ზარალის გამომწვევი შემთხვევა და მას ჰქონდა საიმედოდ შეფასებადი უარყოფითი გავლენა აქტივის მომავალ ფულად ნაკადებზე.

ფინანსური აქტივის გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება შეიძლება მოიცავდეს:

- მოვალის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობა ან მისი გაკოტრება;
- კომპანიის მიერ მისაღები თანხის რესტრუქტურისაცია;
- მინიშნება, რომ მოვალე მალე გაკოტრდება;
- მონაცემების არსებობა, რომლებიც მიუთითებენ, რომ არსებობს ფინანსური აქტივების ჯგუფში

არაფინანსური აქტივები

კომპანიის არაფინანსური აქტივების, გარდა მარაგებისა, ნარჩენი საბალანსო ღირებულებების გადახედვა ხდება ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის, რათა დადგინდეს, არის თუ არა გაუფასურების რაიმე ნიშანი. ასეთი ნიშნის არსებობისას შეფასდება აქტივის ამოღებადი თანხა. გაუფასურების დანაკარგის აღიარება ხდება, თუ აქტივის ან მასთან დაკავშირებული ნაღდი ფულის წარმომქმნელი ერთეულის ნარჩენი საბალანსო ღირებულება აღემატება აქტივის სავარაუდო ამოღებად ღირებულებას.

გაუფასურების ტესტირების მიზნით აქტივები, რომელთა ტესტირება სათითაოდ შეუძლებელია, ჯგუფდება აქტივების ისეთ ყველაზე მცირე ჯგუფში, რომელიც გამოიმუშავებს ნაღდ ფულს ხანგრძლივი გამოყენებისას და რომელიც სხვა აქტივების მიერ გამოიმუშავებული ფულისგან ძირითადად დამოუკიდებელია.

აქტივის ან ნაღდი ფულის გენერირების წყაროს ამოღებადი თანხა უდიდესია მის არსებულ და რეალურ ღირებულებებს შორის, დაკლებული გაყიდვის ხარჯები. არსებული ღირებულება გამოითვლება მოსალოდნელი მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებით გადასახადამდე კოეფიციენტით, რომელიც ითვალისწინებს ფულის დროითი ღირებულების და აქტივის სპეციფიკური რისკების მიმდინარე საბაზრო შეფასებას.

არამატერიალური აქტივების გამოყენების ხანგრძლივობა

კომპანია აკეთებს არამატერიალური აქტივების გამოყენების ხანგრძლივობის შეფასებას, სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით, როგორებიცაა: ტექნიკური ან კომერციული მოძველება, მოსალოდნელი წარმადობა, სიმძლავრე და ფიზიკური მდგომარეობა, რაც დამოკიდებულია ოპერაციულ ფაქტორებზე. მიუხედავად იმისა, რომ ხელმძღვანელობა ცდილობს მაქსიმალურად ზუსტად შეაფასოს არამატერიალური აქტივების გამოსახული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარების მოდელი, ის შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს რეალური შედეგებისგან, რამაც შესაძლოა მატერიალური გავლენა იქონიოს ფინანსურ ანგარიშგებებში წარმოდგენილ მონაცემებზე.

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებს შორის

კომპანიის ბიზნესის ჩვეულებრივი მიმდინარეობისას კომპანია დებს გარიგებებს დაკავშირებულ მხარეებთან. IAS 39 მოითხოვს ფინანსური ინსტრუმენტების საწყის აღიარებას, მათ სამართლიან ღირებულებაზე დაყრდნობით. გადაწყვეტილება გამოიყენება იმის დასადგენად, გარიგება შეფასებულია საბაზრო თუ არასაბაზრო ფასებით, როდესაც არ არის აქტიური ბაზარი ამგვარი გარიგებისათვის. გადაწყვეტილების საფუძველი არის მსგავსი ტიპის გარიგებების ფასდადება არადაკავშირებულ მხარეებთან.

3. ახალი და შეცვლილი სტანდარტები და ინტერპრეტაციები

შემდეგი ცვლილებები და ინტერპრეტაციები პირველად იქნა გამოყენებული 2024 წელს, თუმცა მათ არ ჰქონია არსებითი გავლენა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე:

- ▶ ფასს (IFRS) 3-ის ცვლილება „კონცეპტუალური მიდგომა“;
- ▶ „ძირითადი საშუალებები: შემოსავალი დანიშნულებისამებრ გამოყენებამდე“ - ბასს (IAS) 16-ის ცვლილება;
- ▶ „წამგებიანი ხელშეკრულებები - ხელშეკრულების შესრულების ხარჯი“ - ბასს (IAS) 37-ის ცვლილება;
- ▶ „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების პირველად გამოყენება - შვილობილი საწარმო, რომელიც პირველად იყენებს ფასს სტანდარტებს“;

► ფასს (IFRS) 9 „ფინანსური ინსტრუმენტები - ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტისთვის „10 პროცენტის“ ტესტში მოყვანილი საკომისიოები“;

ახალი და გადასინჯული სტანდარტები, რომლებიც ჯერ არ არის ძალაში შესული

ქვემოთ განსაზღვრულია ახალი და გადასინჯული სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც უკვე გამოიცა, მაგრამ ძალაში არ არის შესული ჯგუფის კი ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღისთვის. კომპანია ამ ახალი და გადასინჯული სტანდარტების და ინტერპრეტაციების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მიღებას გეგმავს მათი ძალაში შესვლისთანავე.

► ფასს (IFRS) 17 „სადაზღვევო ხელშეკრულებები“ ძალაში შედის 2024 წლის 1 იანვრიდან დაწყებული საანგარიშგებო პერიოდებისთვის, და სავალდებულოა შედარებადი რიცხოვრები მონაცემების წარმოდგენა. ნებადართულია ვადაზე ადრე გამოყენებაც, თუ საწარმო ასევე გამოიყენებს ფასს (IFRS) 9-სა და ფასს (IFRS) 15-ს, ფასს (IFRS) 17-ის პირველად გამოყენებამდე ან გამოყენების დღეს.

► ბასს (IAS) 1-ის ცვლილება: „ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლევადიანად და გრძელვადიანად“ - ძალაშია 2024 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის, და გამოიყენება რეტროსპექტულად.

► „სააღრიცხვო შეფასებების განმარტება“ - ბასს (IAS) 8-ის ცვლილება - ძალაშია 2024 წლის 1 იანვრით დაწყებული და შემდგომი წლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის და ვრცელდება ცვლილებაზე სააღრიცხვო პოლიტიკაში და სააღრიცხვო შეფასების ცვლილებაში, რომლებიც ამ პერიოდის დასაწყისში ან შემდგომ პერიოდებში წარმოიშობა. ნებადართულია ცვლილებების ვადაზე ადრე გამოყენება, ამ ფაქტის გამჟღავნებამდე.

► „სააღრიცხვო პოლიტიკასთან დაკავშირებული განმარტებითი შენიშვნა“ - ბასს (IAS) 1-ის ცვლილება და განცხადება 2 ფასს-ების გამოყენების პრაქტიკის შესახებ, რომელიც ვრცელდება 2024 წლის 1 იანვრით დაწყებულ ან შემდგომ ყოველწლიურ პერიოდებზე, ამასთან ნებადართულია ვადაზე ადრე მიღება.

ბასს (IAS) 12-ის ცვლილება - „ერთი ოპერაციიდან წარმოშობილ აქტივებსა და ვალდებულებებთან დაკავშირებული გადავადებული გადასახადი“ - 2021 წლის მაისში, საბჭომ გამოსცა ბასს (IAS) 12-ის ცვლილება, რომლითაც იზღუდება საწყისი აღიარების გამონაკლისის ფარგლები ბასს (IAS) 12-ის საფუძველზე, როცა ის აღარ ვრცელდება ოპერაციებზე, რომლებიც წარმოშობს თანაბარ დასაბეგრ და დასაქვით დროებით სხვაობებს.

**4. სააღრიცხვო პოლიტიკის შერჩევასთან დაკავშირებით გამოყენებული მნიშვნელოვანი
ბუღალტრული შეფასებები და დაშვებები**

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადება ხელმძღვანელობის მხრიდან მოითხოვს გარკვეულ გადაწყვეტილებებს, შეფასებებსა და დაშვებებს, რაც გავლენას ახდენს ანგარიშგებაში წარმოდგენილი ამონაგების, ხარჯების, აქტივებისა და ვალდებულებების ოდენობაზე, თანდართულ განმარტებით შენიშვნებსა და პირობითი ვალდებულებების გაცხადებაზე. ამ დაშვებებისა და შეფასებების სუბიექტური ხასიათის გამო შეიძლება მნიშვნელოვანი კორექტირებების შეტანა გახდეს საჭირო მომავალი პერიოდების აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაში.

კომპანია აკეთებს შეფასებებს და დაშვებებს, რომლებიც მოქმედებენ ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე და აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე, მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში. შეფასებები და დაშვებები მუდმივად გადასინჯება და ეყრდნობა ხელმძღვანელობის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის სამომავლო მოვლენებს, რომელთა გონივრული პროგნოზირებაც შესაძლებელია გარემოებების გათვალისწინებით. შეფასებების გარდა, ხელმძღვანელობა ასევე გარკვეულ გადაწყვეტილებებს იღებს სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. მსჯელობები, რომლებსაც ყველაზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ ფინანსურ ანგარიშგებებში აღიარებულ თანხებზე და ასევე შეფასებები, რომლებმაც შესაძლოა გამოიწვიონ აქტივებისა და

ვალდებულებების საბალანსო ღირებულების მნიშვნელოვანი ცვლილება მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში, მოიცავს შემდეგს:

განსჯა

ქვემოთ წარმოდგენილია ხელმძღვანელობის განსჯა კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის გატარების პროცესში, რომელიც ყველაზე მეტად მოქმედებს ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე:

შეფასებები და დაშვებები

მომავალთან დაკავშირებით გაკეთებული ძირითადი დაშვებები და შეფასებები და ასევე სხვა განუსაზღვრელობები საანგარიშგებო თარიღისათვის, რომელთა გამოც მომავალ ფინანსურ წელს შეიძლება საჭირო გახდეს მნიშვნელოვანი ცვლილების შეტანა აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაში, აღწერილი იქნება ქვემოთ. კომპანიამ თავისი დაშვებებისა და შეფასებების საფუძვლად გამოიყენა ის ინფორმაცია, რომელიც ხელმისაწვდომი იყო ფინანსური ანგარიშგების მომზადების დროს. თუმცა არსებული გარემოებები და მომავალ მოვლენებთან დაკავშირებული დაშვებები შეიძლება შეიცვალოს ბაზარზე ან გარემოებებში ისეთი ცვლილებების გამო, რომლებიც არ ექვემდებარება კომპანიის კონტროლს. ასეთი ცვლილებები დაშვებებში აისახება მათი დადგომისთანავე.

არაფინანსური აქტივების გაუფასურება

გაუფასურება ხდება მაშინ, როდესაც აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება აჭარბებს მის ანაზღაურებად ღირებულებას, რომელიც წარმოადგენს გაყიდვის ხარჯით შემცირებულ სამართლიან ღირებულებასა და გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესს. გასვლის დანახარჯებით შემცირებული სამართლიანი ღირებულება გამოიანგარიშება ანალოგიური აქტივების გაშლილი ხელის მანძილის პრინციპით შესრულებული გაყიდვის გარიგებებიდან მიღებული მონაცემების საფუძველზე ან ემპირიული საბაზრო ფასების მიხედვით, რასაც აკლდება აქტივის გასვლის ზღვრული დანახარჯები. გამოყენების ღირებულების დაანგარიშდება ეფუძნება დისკონტირებული ფულადი ნაკადების მოდელს. ფულადი ნაკადები მიიღება მომდევნო ხუთი წლის ბიუჯეტიდან და არ მოიცავს რესტრუქტურისაციას, რომელთა ვალდებულებაც ჯგუფს ჯერ არ აუღია ან მნიშვნელოვან სამომავლო ინვესტიციებს, რომლებიც გააუმჯობესებს ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის შემოწმებული აქტივების ეფექტურობას.

ხელმძღვანელობამ ჩაატარა მაჩვენებლების ანალიზი, რომლის მიხედვითაც აქტივები შესაძლოა გაუფასურდეს 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მან ვერ მოახდინა გარე ან შიდა ფაქტორების გამოვლენა, რომლებმაც შესაძლოა გამოიწვიონ ძირითადი საშუალებების გაუფასურება.

სავაჭრო მოთხოვნებისა და სხვა აქტივების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხი

სავაჭრო დებიტორული მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი ეყრდნობა კომპანიის მიერ იმის შეფასებას, თუ რამდენად მოსალოდნელია გარკვეული კლიენტებისგან თანხების ამოღება. ამ რეზერვის შეფასებისას ხელმძღვანელობა ეფუძნება მოთხოვნების ნაშთების ვადას, ჩამოწერის ისტორიულ გამოცდილებას, კლიენტების სანდოობასა და გადახდის პირობების ცვლილებას. ეკონომიკის, დარგისა ან კონკრეტული კლიენტის პირობების ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს ფინანსურ ანგარიშგებაში აღრიცხული რეზერვის კორექტირება.

ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების შეფასება

როდესაც ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღრიცხული ფინანსური აქტივების და ფინანსური ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება ვერ შეფასდება აქტიურ ბაზარზე კოტირებული ფასებით, მათი სამართლიანი ღირებულება ფასდება დისკონტირებული ფულადი ნაკადის (DCF) მოდელში შესული შეფასების მეთოდით. სამართლიანი ღირებულების თანხა მგრძნობიარეა დისკონტირებული განაკვეთის მიმართ, ექსტრაპოლაციის მიზნით.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო გამოყენების ვადა

ძირითადი საშუალებების შემადგენელი ცალკეული ერთეულების სასარგებლო გამოყენების ვადის შეფასება დამოკიდებულია მსგავს აქტივებთან წარსულ გამოცდილებაზე დაფუძნებულ მსჯელობებზე. აქტივში განივთებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი უმეტესად სარგებლობის პროცესში გამოიყენება. თუმცა, სხვა ფაქტორები, როგორც არის ტექნიკური ან კომერციული მოძველება და ცვეთა, ხშირად იწვევს აქტივებში განივთებული ეკონომიკური სარგებლის შემცირებას. ხელმძღვანელი აფასებს დარჩენილ სასარგებლო გამოყენების ვადას, აქტივების მიმდინარე ტექნიკური მდგომარეობის და იმ შეფასებული პერიოდის შესაბამისად, რომლის განმავლობაშიც მოსალოდნელია აქტივებზე კომპანიისთვის სარგებლის მიღება. რომელიმე ან პირობაში ან შეფასებაში მომხდარმა ცვლილებამ შეიძლება მოითხოვოს სამომავლო ცვეთის კოეფიციენტების დაკორექტირება.

დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციების თავდაპირველი აღიარება

ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში კომპანია გარიგებებს აწარმოებს მის დაკავშირებულ მხარეებთან. მსჯელობები გამოიყენება იმის განსასაზღვრად, გარიგებების შეფასება ბაზარზე ხდება თუ არა საბაზრო საპროცენტო განაკვეთებით, როდესაც არ არსებობს ამგვარი გარიგებების აქტიური ბაზრები. მსჯელობის საფუძველია არადაკავშირებულ მხარეებთან მსგავსი ტიპის გარიგებების ფასწარმოება და ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ანალიზი.

5. ძირითადი საშუალებები

	სატრანსპორტო საშუალებები	ოფისის აღჭურვილობა	ავტო და სხვა ინვენტარი	სულ
ღირებულება 2022 წლის 31 დეკემბერს	99,527	815,420	278,274	1,193,221
შემოსვლა		6,186	3,140	9,326
გასვლა	(15,254)			(15,254)
ღირებულება 2023 წლის 31 დეკემბერს	84,273	821,606	281,414	1,187,293
შემოსვლა		228,822	18,996	247,818
გასვლა	(12,054)	(24,642)		(36,695)
ღირებულება 2024 წლის 31 დეკემბერს	72,219	1,025,786	300,410	1,398,416
დაგროვილი ცვეთა 2022 წლის 31 დეკემბერს	29,858	550,757	174,382	754,997
პერიოდის ცვეთა	3,078	58,269	17,976	79,323
დაგროვილი ცვეთა 2023 წლის 31 დეკემბერს	32,936	609,026	192,358	834,320
პერიოდის ცვეთა	4,698	175,851	2,581	183,130
დაგროვილი ცვეთა 2024 წლის 31 დეკემბერს	37,634	784,877	194,939	1,037,800
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბერს	69,669	264,663	103,892	438,224
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერს	51,337	212,580	89,056	352,973
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბერს	34,585	240,909	105,471	360,615

6. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	31-დეკ- 2024	31-დეკ- 2023
ნაღდი ფული	240,373	471,625
ფული ბანკში	2,384,575	4,840,685
სულ ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	2,624,948	5,312,310

ნაღდი ფულის ნაშთი საბანკო ანგარიშებზე შესაძლოა კლასიფიცირებული იყოს, როგორც არასარიცხო, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ბანკები, სადაც კომპანიას მიმდინარე ანგარიშები აქვს, არის სანდო და საყოველთაოდ ცნობილი საკრედიტო დაწესებულებები.

7. მარაგები

მარაგები	31-დეკ- 2024	31-დეკ- 2023
საქონელი	9,890,716	11,980,717
ნედლეული და მასალები	17,771	4,316
სულ მარაგები	9,908,487	11,985,033

კომპანიის მარაგების უდიდეს ნაწილს გასაყიდი საქონელი წარმოადგენს

8. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები

მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	31-დეკ- 2024	31-დეკ- 2023
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	469,138	1,601,027
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	55,894	550,285
გადახდილი ავანსები	14,171	14,171
სულ მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	539,202	2,165,483

სავაჭრო მოთხოვნები მიმდინარეა და არ შეიცავს ხანდაზმულ დებიტორებს, ამიტომ კომპანიის მენეჯმენტის რწმენით სავაჭრო მოთხოვნების აღიარებულ ოდენობასა და მათ სამართლიან ღირებულებას შორის სხვაობა არ არის.

9. კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი განსაზღვრულია კომპანიის დამფუძნებლის მიერ. 2024 და 2023 წლების განმავლობაში კომპანიის საწესდებო კაპიტალი ნული ლარია. 2024 წლის საანგარიშგებო პერიოდში ცვლილებები არ მომხდარა.

10. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	31-დეკ- 2024	31-დეკ- 2023
მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	4,923,843	10,119,308
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	285,253	261,424
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	5,209,096	10,380,732

სავაჭრო და სხვა ვალდებულებების სამართლიან ღირებულებასა და საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა არაა.

11. მოკლევადიანი სესხები

კომპანიამ 2024 წლის განმავლობაში აიღო დოლარში დენომინირებული მოკლევადიანი საბანკო სესხები, საქართველოს რეზიდენტი ბანკებიდან, თავისი ოპერაციების დასაფინანსებლად. სასესხო ვალდებულებასთან ერთად კომპანიამ აღიარა საპროცენტო ვალდებულება. კომპანიამ 2024 წლის საანგარიშო პერიოდის ბოლოს აღიარა 517,573 ლარის ღირებულების მოკლევადიანი სასესხო და საპროცენტო ვალდებულება და 2,932,913 ლარის ღირებულების გრძელვადიანი სასესხო ვალდებულება. კომპანიამ 2023 წლის საანგარიშო პერიოდის ბოლოს აღიარა 174,710 ლარის ღირებულების მოკლევადიანი და 990,023 ლარის ღირებულების სასესხო და საპროცენტო ვალდებულება.

12. ამონაგები

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში კომპანიის შემოსავლები საქონლის გაყიდვიდან შემცირდა

ამონაგები	31-დეკ- 2024	31-დეკ- 2023
საქონლის გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი	71,914,947	106,298,399
მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი	498,413	26,353
სულ ამონაგები	72,413,360	106,324,752

13. რეალიზებული საქონლის თვითღირებულება

რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	31-დეკ- 2024	31-დეკ- 2023
რეალიზებული საქონლის ღირებულება	64,595,698	96,793,481
სულ რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	64,595,698	96,793,481

14. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

ადმინისტრაციული ხარჯები	31-დეკ- 2024	31-დეკ- 2023
შრომის ანაზრაურება	2,396,259	3,970,088
ბანკის მომსახურების ხარჯი	1,266,480	1,603,263
რეკლამისა და მომსახურების ხარჯი	647,461	618,707
ცვეთა და ამორტიზაცია	183,130	79,323
ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯები	49,477	55,679
მიწოდების ხარჯები	328,471	87,492
კომუნალური ხარჯი	79,543	51,872
იჯარის ხარჯი	825,229	862,475
დაზღვევის ხარჯი	15,769	13,752
კომუნიკაციის ხარჯი	7,312	8,496
სხვა საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	413,151	36,936
სულ ადმინისტრაციული ხარჯები	6,212,284	7,388,083

15. გაუთვალისწინებელი ხარჯები, ვალდებულებები და ოპერაციული რისკები

გადასახადები

საქართველოს საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობაში არის არაერთმნიშვნელოვანი დებულებები, რომლებიც ტოვებს მათი სხვადასხვაგვარი ინტერპრეტირების შესაძლებლობას და ამავე დროს, ეს კანონმდებლობა ხშირი ცვლილებების საგანია. აღნიშნული კანონმდებლობის მოთხოვნების მენეჯმენტის მიერ მიღებული ინტერპრეტაცია შეიძლება ეჭვქვეშ დადგეს ან არასწორად იქნას მიჩნეული შესაბამისი მარეგულირებელი ორგანოების მიერ. დასაშვებია, რომ საგადასახადო ორგანოები უფრო ხისტად დაიცვენ კანონმდებლობის მოთხოვნების საკუთარ ინტერპრეტაციას. შედეგად, შესაძლოა დარიცხულ იქნას მნიშვნელოვანი დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და პროცენტები. თუმცა, ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ მათ მიერ გამოყენებული საგადასახადო ინტერპრეტაციები გონივრული, სამართლიანი და სწორია და კომპანია არ დგას დამატებითი გადასახადებისა თუ ჯარიმების დარიცხვის რისკის წინაშე.

16. ფინანსური რისკის მართვა

კომპანიის რისკის მენეჯმენტის ფუნქციები იწარმოება, ფინანსური, საოპერაციო და იურიდიული რისკების მიხედვით. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (მათ შორის სავალუტო რისკს, საპროცენტო რისკს და სხვა საფასურთან დაკავშირებულ რისკებს), ასევე საკრედიტო რისკებს და ლიკვიდურობასთან დაკავშირებულ რისკებს. ფინანსური რისკის მართვის პირველადი ამოცანაა ჩამოაყალიბოს მისაღები რისკის ლიმიტები და შემდეგ უზრუნველყოს არსებული რისკების ამ ლიმიტების ფარგლებში დარჩენა. საოპერაციო და იურიდიული რისკ მენეჯმენტის ფუნქციები შედგენილია იმაზე გათვლით რომ მოხდეს შიდა პოლიტიკისა და პროცედურების სწორი წარმოება, რათა აცილებული იქნას თავიდან საოპერაციო და იურიდიული რისკები

საბაზრო რისკი

კომპანია ექვემდებარება საბაზრო რისკებს, საბაზრო რისკები ჩნდება არა სამუშაო მდგომარეობაში ა) უცხოურ ვალუტებთან მიმართებაში ბ) საპროცენტო აქტივებისა და ვალდებულებები მიმართებაში გ)

ფასიან ქაღალდებთან მიმართებაში, ყველა მათგანი დაუცველია ზოგადი და სპეციფიური საბაზრო ცვალებადობის მიმართ. მენეჯმენტი აწესებს მათთვის მისაღები რისკის შეფასების ლიმიტებს, რისკის მონიტორინგი ხდება ყოველდღიურად, თუმცა ეს მიდგომა ხელს ვერ შეუშლის დანაკარგების მიღებას როდესაც ბაზარზე მნიშვნელოვანი ცვალებადობის დროს რისკი ამ განსაზღვრულ საზღვრებს გასცდება.

მგრძნობიარობა ქვემოთ დასახელებულ საბაზრო რისკების გავლენაზე გამოყოფილია მხოლოდ ერთი ფაქტორის ცვლილებაზე გათვლით, როდესაც სხვა ფაქტორები რჩება მუდმივი. პრაქტიკაში კი მოვლენების ასეთი განვითარებანაკლებად მოსალოდნელია ცვლილებები ზოგიერთ კოეფიციენტში კორელაციაშია ერთმანეთთან, მაგალითად ცვლილებები საპროცენტო განაკვეთში შესაძლებელია კორელაციაში იყოს სავალუტო კურსის ცვლილებებთან

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის რისკი რომ ცვლილებები სავალუტო კურსებში უარყოფითად შეიძლება აისახოს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე. კომპანიას აქვს გარკვეული ტრანზაქციები უცხოურ ვალუტაში. კომპანია არ იყენებს დერივატივებს სავალუტო რისკის სამართავად, ამავდროულად კომპანიის მენეჯმენტი ცდილობს რისკების შემცირებას უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივების და ვალდებულების კომპანიის დონეზე მართვით.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი წარმოადგენს რისკს, რომ კომპანია ვერ შეძლებს მის მიერ აღებული ფინანსური ვალდებულების, გასტუმრებას. კომპანიის აქვს ყოველდღიური მოთხოვნები მის ფულად რესურსებზე. მენეჯმენტი აკონტროლებს კომპანიის ფულადი ნაკადების უწყისის ყოველთვიურ ბიუჯეტს და ახდენს მის პროგნოზირებას.

კომპანიის ლიკვიდურობის პორტფელი მოიცავს ფულს და ფულის ექვივალენტებს მენეჯმენტი ადგენს ფულის და საბანკო დეპოზიტების დაახლოებით ლიკვიდურობის პორტფელს გარდა შეზღუდული თანხებისა რომელთა გამოყენებაც შეიძლება ერთი დღის მანძილზე რათა მოხდეს წინასწარ განუსაზღვრელი ლიკვიდურობის მოთხოვნების დაკმაყოფილება.

კაპიტალის მართვა

კაპიტალის მართვას აწარმოებენ კომპანიის მფლობელები იმის და მიხედვით თუ როგორი მოთხოვნები აქვთ მათ კაპიტალის ოპტიმალურ სტრუქტურასთან დაკავშირებით. კომპანია აწარმოებს კაპიტალის სტრუქტურის მართვას მხოლოდ იურიდიული მოთხოვნების გამო იმ იურისდიქციის ფარგლებში სადაც ის ოპერირებს.

17. ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება

სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება იმ თანხის რაოდენობით, რა თანხადაც შესაძლებელია ფინანსური ინსტრუმენტის გაცვლა/რეალიზაცია მიმდინარე ანგარიშსწორებისას თანაბარი ინფორმაციის მქონე და ნებაყოფლობით მხარეებს შორის გაშლილი ხელის მანძილის პრინციპით. გარდა სალიკვიდაციო ან ძალდატანებითი გაყიდვის ტრანზაქციებისა.

აქედან გამომდინარე ქვემოთ წარმოდგენილ შეფასებები აუცილებლად არ მიუთითებს იმ თანხას, რომელის მიღებაც შეუძლია კომპანიას, რომელიმე ფინანსური ინსტრუმენტის ბაზარზე მისი აქტივების სრული რეალიზაციისას შემთხვევაში.

18. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც განსაზღვრულია IAS 24 -ით „შენიშვნები დაკავშირებული მხარეების შესახებ“, წარმოადგენს :

- (a) მხარეები, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად, ერთი ან მეტი შუამავალის მეშვეობით: აკონტროლებს ან კონტროლდება, ან არის საერთო კონტროლის ქვეშ დაქვემდებარებული კომპანია (მათ შორის, მშობლები, შვილობილი კომპანიები და თანამშრომლები); ფლობს წილს კომპანიაში, რომელიც აძლევს მნიშვნელოვანი გავლენის შესაძლებლობას და რომელსაც აქვს კომპანიაზე ერთობლივი კონტროლი;
- (b) პარტნიორი საწარმო - საწარმოები, რომლებზეც კომპანიას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა და რომელიც არ არის არც შვილობილი კომპანია და არც ერთობლივ საწარმო.
- (c) ერთობლივი საწარმოები, სადაც კომპანია წარმოადგენს საწარმოს;
- (d) კომპანიის ან მისი მშობლის მმართველი პერსონალი.
- (e) ოჯახის ახლო წევრები, რომელიც ნახსენებია(ა) ან (დ)-ში;
- (f) მხარე, რომელიც კონტროლდება, ერთობლივად კონტროლდება ან განიცდის მნიშვნელოვან გავლენას, ან რომელზეც მნიშვნელოვანი ხმის უფლება აქვს, პირდაპირ ან ირიბად, (დ) ან (ე)-ში ნახსენებ ინდივიდუალებს.
- (g) დასაქმების შემდგომი შეღავათების სისტემა თანამშრომლებისთვის ან მხარისთვის, რომელიც არის დაკავშირებული კომპანია.

კომპანიას 2024 წლის განმავლობაში არ აქვს ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან.

დაკავშირებული მხარეებზე გაცემული სესხები და მისაღები პროცენტები

ხელფასის სახით გადახდილი თანხები	31-დეკ- 2024	31-დეკ- 2023
გადახდილი ხელფასები	505,314	1,416,835
ჯამი		

19. საქმიანობის უწყვეტობა

ფინანსური ანგარიშგება მომზადდა საწარმოს უწყვეტობის პრინციპზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს აქტივების რეალიზაციასა და ვალდებულებების დაფარვას კომპანიის ფუნქციონირების ნორმალურ პირობებში.

საანგარიშგებო პერიოდების განმავლობაში კომპანიის რეალიზაცია მკვეთრად გაიზარდა და ასევე გაიზარდა კომპანიის მიერ მიღებული მოგებაც. ამ გარემოების გათვალისწინებით მენეჯმენტი დარწმუნებულია, რომ კომპანია ახლო მომავალში განაგრძობს თავის საქმიანობას და არ არსებობს რაიმე პირობა ან გარემოება რომელიც ხელს შეუშლის კომპანიის ფუნქციონირებას ანგარიშგების თარიღიდან 12 თვის განმავლობაში.

20. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

ეს ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა გამოსაშვებად კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2025 წლის 26 სექტემბერს საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ ანგარიშგების გაშვებამდე მნიშვნელოვანი მოვლენები, რომლებიც გავლენას მოახდენდნენ კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე არ დაფიქსირებულა.

შპს „აიპლიუსი“

ფინანსური უწყისები და განმარტებითი შენიშვნები კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებზე
2024 წლის 31 დეკემბერი

შპს „აიპლიუსი“

კონსოლიდირებული მმართველობითი ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს აიპლიუსი დაფუძნებულია 2014 წლის 02 სექტემბერს, კომპანიის საქმიანობის სფერო მოიცავს სამომხმარებლო ელექტრონული ტექნიკის რეალიზაციას (მობილური ტელეფონები, კომპიუტერული ტექნიკა, აუდიო-ვიდეო ტექნიკა, საყოფაცხოვრებო ტექნიკა, წვრილი საყოფაცხოვრებო ტექნიკა, აქსესუარები) და მასთან დაკავშირებული სერვისების შეთავაზებას მომხმარებელთათვის.


“აიპლიუსი” Apple-ის ოფიციალური პარტნიორია საქართველოში. 2019 წლის 1 მარტიდან, მულტიბრენდი კომპანია გახდა - დაამატეთ ახალი ხაზი, SAMSUNG-ის ბრენდის სმარტფონები. კომპანია აპირებს სხვა ფლაგმანი სმარტფონების დამატებას.

2024 წელს წარმოდგენილი იყო საქართველოს 4 ქალაქში 8 მაღაზიითა და ინტერნეტ მაღაზიებით:

- ❖ მაღაზია - თბილისი/ვაკე-საბურთალო/პეკინის 11
- ❖ მაღაზია - თბილისი/ვაკე-საბურთალო/ჭავჭავაძის გამზ.34.მაღაზია 4ა
- ❖ მაღაზია - თბილისი/ვაკე-საბურთალო/ჭავჭავაძის გამზ.34 მაღაზია 16
- ❖ მაღაზია - თბილისი/ჭავჭავაძის გამზ.19
- ❖ მაღაზია - აჭარა/ბათუმი/ტ.აბუსერიძის 20
- ❖ მაღაზია - აჭარა/ბათუმი/ზ.გორგილაძის 88
- ❖ მაღაზია - ქ.ქუთაისი/ფალიაშვილის 31
- ❖ მაღაზია - ქ.რუსთავი/შარტავას გამზირი, ლომოურის კვეთა ინტერნეტ მაღაზია-

<https://iplus.com.ge/>

შპს „აიპლიუსი“-ს ორგანიზაციული სტრუქტურა (2024 წელი)



2. ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

კომპანიის ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები (ლარში)

	2024	2023
ამონაგები	72 311 359	106 324 753
საოპერაციო მოგება	1 175 086	1 315 682
მოთიანი სრული შემოსავალი	928 728	1 235 488
სულ აქტივები	14,162,736	20,362,029
სულ კაპიტალი	5 503 155	8 816 564

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ასახულია კომპანიის ფინანსური კოეფიციენტები

	2024	2023
მიმდინარე ლიკვიდობა	2.4	1.96
სწრაფი ლიკვიდობა	2.28	0.5
ROE (ამონაგები კაპიტალზე)	0.13	0.2
ROA (ამონაგები აქტივებზე)	0.05	0.1

კოეფიციენტების დაანგარიშების წესისთვის, ასევე გადახრების შესაბამისი ახსნებისთვის იხილეთ ქვემოთ: მიმდინარე და სწრაფი ლიკვიდობის კოეფიციენტები განსაზღვრავენ რა დონის მიმდინარე აქტივები გააჩნია კომპანიას მოკლევადიანი ვალდებულებების დასაკმაყოფილებლად. ლიკვიდობის კოეფიციენტები პოტენციური ინვესტორების და კრედიტორების, ასევე კომპანიის მფლობელებისა და ხელმძღვანელობისთვის პირველხარისხოვან ინტერესს წარმოადგენენ.

2024 წლის პერიოდში კოეფიციენტებში მნიშვნელოვანი უარყოფითი ცვლილება არ შეინიშნება, რაც იმას ნიშნავს, რომ კომპანიის სწრაფად ლიკვიდური აქტივები სრულად ემსახურება შესაბამის ვალდებულებებს და კომპანიას არ გააჩნია დეფიციტი. მიმდინარე ლიკვიდობა დაიანგარშება მოკლევადიანი აქტივების შეფარდებით მოკლევადიან ვალდებულებებთან. სწრაფი ლიკვიდობა დაიანგარშება მარაგების გამოკლებით მოკლევადიანი აქტივების შეფარდებით მოკლევადიან ვალდებულებებთან

საკუთარი კაპიტალის რენტაბელობა, იგივე უკუგება საკუთარ კაპიტალზე (return on equity - ROE), რომელიც გამოითლება შემდეგი ფორმულით: უკუგება საკუთარ კაპიტალზე ტოლია წმინდა მოგება შეფარდებული საკუთარ კაპიტალთან.

უკუგება აქტივებზე (Return on assets- ROA)-ტოლია წმინდა მოგება შეფარდებული საშუალო აქტივებთან. არაფინანსური მაჩვენებლები

თანამშრომლები: შპს „აიპლიუსი“-ს პერსონალის რაოდენობა წლის განმავლობაში მერყეობდა 78-დან 80-მდე. კომპანიას აქვს თავისი დასაქმების პოლიტიკა, რომ უზრუნველყოფილი იყოს შესაბამისი კვალიფიკაციის, გამოცდილებისა და უნარების მქონე კანდიდატების მოძიება და შეფასება. კომპანიის მენეჯმენტი და დამფუძნებლები პასუხისმგებლობით უდგებიან ბიზნესის სპეციფიკიდან გამომდინარე არსებულ რისკებს და მუდმივად ზრუნავენ თანამშრომლების პროფესიონალიზმის ამაღლებაზე რათა უზრუნველყოფილი იყოს პრაქტიკაში მოქმედი სტანდარტების და პროცედურების დაცვა.

ურთიერთობა სახელმწიფო უწყებებთან:

კომპანია, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ დაარსებულია და მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და არ ხვდება დამატებით რომელიმე სახელმწიფო უწყების რეგულირების სფეროში.

3. კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა

2024 წელს კომპანია არ იყო ჩართული კვლევებში და მსგავს ღონისძიებებში.

4. ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ

2024 წელს არ მომხდარა კომპანიის მიერ საკუთარი აქციების შეძენა.

5. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

საკრედიტო რისკი და მისი მართვის მექანიზმები

კომპანიას გააჩნია საკრედიტო რისკი, რომელიც წარმოადგენს რისკს, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთ-ერთი მხარე გამოიწვევს ფინანსურ ზარალს მეორე მხარისათვის თავისი მოვალეობის შეუსრულებლობით. საკრედიტო რისკი წარმოიქმნება კომპანიის მიერ საქონლის/მომსახურების კრედიტით გაყიდვით და პარტნიორებთან სხვა ოპერაციებით, რაც წარმოქმნის ფინანსურ აქტივებს. ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ საკრედიტო რისკს.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების შედეგად. საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას კომპანიის მიერ პროცენტიანი ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები იმერყევებს საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გამო (საპროცენტო რისკი) და უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების გამო (სავალუტო რისკი). ხელმძღვანელობის მიერ ფინანსური რისკის მართვის მიზანია კომპანიის ყოველდღიური ოპერაციების შესრულების უზრუნველყოფა, ოპერაციებიდან საკმარისი ფულისა და ფულადი ეკვივალენტების მიღება, რომ დააფინანსოს საოპერაციო და მიმდინარე კაპიტალური დანახარჯები და სასესხო ვალდებულებები მესამე მხარეების მიმართ სავალუტო რისკი.

სავალუტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება იმერყევებს უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადობის გამო. კომპანიას წარმოეშვება რისკები გაცვლითი კურსის ცვლილებების გამო, ვინაიდან აქვს ოპერაციები უცხოურ ვალუტაში. საპროცენტო განაკვეთის რისკი.

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებაზე.

კაპიტალის მართვა

კომპანიის მიზნები კაპიტალის მართვისას შემდეგში მდგომარეობს:

- უზრუნველყოს ფუნქციონირებადი საწარმოს შენარჩუნების უნარი, ისე რომ არ შეწყვიტოს მფლობელებისთვის სარგებლის მოტანა; და
- გამოიმუშაოს მფლობელებისთვის სარგებელი მისაღები რისკის დონის შეფასებით და შენარჩუნებით.

6. კომპანიის განვითარების მიზნები და მომხმარებლებზე ზრუნვა

შპს აიპლიუსი მიყვება იმ გეგმას რომელიც კომპანიის ხელმძღვანელობამ და დამფუძნებლებმა დაისახეს. მთავარი მიზანი რაც კომპანიას გააჩნდა იყო ბაზრის წილის ზრდა, ქსელის გაფართოვება საქართველოს მასშტაბით. კომპანია განაგრძობს განვითარებას დასახული მიზნის მიხედვით. მომავალ პერიოდში დაგეგმილია ახალი მაღაზიების დამატება საქართველოს სხვადასხვა რეგიონში, ახალი ფორმატის შესაბამისად.

კომპანიის ხელმძღვანელობის შეფასებით ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი თანხები არ საჭიროებს დამატებით განმარტებებს. აღნიშნული ინფორმაცია განმარტებულია ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნებში. სხვა ფინანსური მაჩვენებლები იხილეთ ფინანსურ ანგარიშგებაში.

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებული კონსოლიდირებული მმართველობითი ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2025 წლის 26 სექტემბერს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი

კახა სეფაშვილი

6. კომპანიის განვითარების მიზნები და მომხმარებლებზე ზრუნვა

შპს აიპლიუსი მიყვება იმ გეგმას რომელიც კომპანიის ხელმძღვანელობამ და დამფუძნებლებმა დაისახეს. მთავარი მიზანი რაც კომპანიას გააჩნდა იყო ბაზრის წილის ზრდა, ქსელის გაფართოვება საქართველოს მასშტაბით. კომპანია განაგრძობს განვითარებას დასახული მიზნის მიხედვით. მომავალ პერიოდში დაგეგმილია ახალი მაღაზიების დამატება საქართველოს სხვადასხვა რეგიონში, ახალი ფორმატის შესაბამისად.

კომპანიის ხელმძღვანელობის შეფასებით ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი თანხები არ საჭიროებს დამატებით განმარტებებს. აღნიშნული ინფორმაცია განმარტებულია ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნებში. სხვა ფინანსური მაჩვენებლები იხილეთ ფინანსურ ანგარიშგებაში.

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებული კონსოლიდირებული მმართველობითი ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2025 წლის 26 სექტემბერს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი

კახა სეფაშვილი

ს. სეფაშვილი